

**საქართველოს კომუნიკაციების  
ეროვნული კომისია**



**წლიური ანგარიში  
2005 წ.**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

| <b>სარჩევი</b>   | <b>გვერდი</b> |
|--|---------------|
| <b>თავი I - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია</b>                          | <b>4</b>      |
| ანგარიშვალდებულება და სტრუქტურა  | 4             |
| საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრები                                 | 4             |
| კომისიის რესურსები   | 6             |
| ადამიანური რესურსები   | 6             |
| კომისიის ბიუჯეტი და ფინანსური რესურსები  | 9             |
| მარეგულირებელი კანონმდებლობა   | 12            |
| კომისიის ფუნქციები, უფლებამოსილება და ვალდებულებები                                  | 13            |
| <b>თავი II- 2005 წელს კომისიის მიერ განხორციელებული საქმიანობის ანალიზი</b>          | <b>15</b>     |
| კომისიის დადგენილებები   | 15            |
| კომისიის გადაწყვეტილებები  | 18            |
| სანქციონება  | 19            |
| სტატისტიკური ანგარიშგების სისტემა  | 20            |
| ავტორიზაციის ფორმა   | 20            |
| კომერციული კონკურსები  | 20            |
| “აკვაფონის საქმე”  | 20            |
| ბაზრის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევა და ანალიზი                                    | 21            |
| დავების განხილვა   | 22            |
| მომხმარებელთა უფლებების დაცვა  | 22            |
| საერთაშორისო ურთიერთობები  | 23            |
| რადიოსიმირული სპექტრის მონიტორინგის სისტემა  | 23            |
| <b>თავი III- საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის მიმოხილვა</b> | <b>24</b>     |
| საქმიანობაზე გაცემული ღიცენტიები და დინამიკა წლების მიხედვით                         | 24            |
| ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურების ბაზრის განვითარების მიმოხილვა                | 27            |
| დარგის შემთხვევების წილი ეკონომიკის მთლიან შიდა პროდუქტში                            | 29            |
| ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის სეგმენტების განვითარების დინამიკა      | 29            |
| ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურება  | 30            |
| მობილური საკომუნიკაციო მომსახურება   | 33            |
| ინტერნეტის ქსელით მომსახურება  | 34            |
| საფოსტო მომსახურება  | 35            |
| ტელე-რადიო მაუწყებლობა   | 36            |
| დანართი 1 პულიტის დასკვნა  |               |

## მისაბამისობა

საქართველოს მეგზური საინფორმაციო კომუნიკაციების ერაში

## ხედვა

- საინფორმაციო სამოცვალოების ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების ხელშეწყობა
- ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა
- საბაზრო გარემოში მიმღინარე პოტიფიური ცვლილებების გაღრმავება, რეგულირების მოქნილი და აღექვატური რეაგირების მექანიზმების ამოქმედება
- ბაზრის მონაწილე კომპანიებისა და მომხმარებლებს შორის ნდობის ფაქტორის ამაღლება და მედიატორის როლის შესრულება
- საინვესტიციო მიმზიდველი და სტაბილური ბიზნეს გარემოს შენარჩუნება

## დირებულებები:

ჩვენ გვჯერა, რომ:

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების განვითარება, ინოვაციური ტექნოლოგიების დაწყება და მომსახურების ბაზრის გაფართოება ხელს უწყობს ქვეყნის ბოგად ეკონომიკურ განვითარებას

დარგში დია და გამჭვირვალე ურთიერთობები ხელს უწყობს ბაზრის მონაწილეებსა და მომხმარებლებს შორის ნდობის გაღრმავებას

თანასწორუფლებიანობა და მარეგულირებელი გადაწყვეტილების მიღებისას არადისკრიმინაციულობის პრინციპის დაცვა არის ბაზრზე კონკურენციის განვითარების ხელშეწყობისა და ინოვაციების დამკვიდრების წინაპირობა

სტაბილური და პროგნოზირებადი გარემო, ინერსტიციების მოტივის, ასევე ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების დაწერვის საწინდარია

გამჭვირვალე რეგულირებას მყარი საბაზრო პრინციპების დამკვიდრებასა და ეკონომიკის დერეგულაციამდე მიღყავართ

რეგულირების მოქნილი მექანიზმების ამოქმედება, ბაზარზე მიმღინარე პროცესებზე ორიენტირებულობა, მარტივი, გამჭვირვალე და გასაგები წესების დამკვიდრება, ეფექტიანობისა და შედეგიანობის მიღწევის საწინდარია

ელექტრონული საკომუნიკაციო ბაზრის ცალკეულ სეგმენტების კონკურენციის გაღრმავება და განვითარება, მომხმარებელთა უფლებების დაცვა და შემდეგული რესურსების ეფექტურად განაწილება ელექტრონული კომუნიკაციების დარგის მშარდი განვითარების წინაპირობაა

## თავი I საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

### ანგარიშვალდებულება და სტუქტურა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში “კომისია”), როგორც დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს დამოუკიდებლობის, საჯაროობისა და პასუხისმგებლობის პრინციპებით.

კომისია ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე და ვალდებულია იმოქმედოს საზოგადოებრივი ინფერენსების შესაბამისად, მისი საქმიანობა გამჭვირვალება საზოგადოებისათვის, მისი სხდომები საჯარო და ღიაა დაინტერესებული პირებისათვის, იგი თავისი საქმიანობის შესახებ წლიურ ანგარიშს წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს.

კომისია წარმოადგენს კოლეგიალურ ორგანოს. იგი, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ხმათა უმრავლესობით, იდებს ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს: დადგენილებას, გადაწყვეტილებას, აგრეთვე თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებებს. კომისიის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრები

#### კომისიის თავმჯდომარე - ბატონი დიმიტრი ქიფოშვილი

დიმიტრი ქიფოშვილი დაიბადა 1979 წლის 3 სექტემბერს, ქ. თბილისში.

2002 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

2001 წლიდან იყო იურიდიული ფირმა “ოქრეაშვილი და პარფნიორების” პარტნიორი.

2003 წლის მარტიდან მუშაობდა შპს “ქართული იურიდიული ჯგუფის” დირექტორად.

2003 წლის აგვისტოდან დაინიშნა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრად; მუშაობდა ამავე კომისიის მდივნად, თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად.

2004 წლის 9 ივნისს პრეზიდენტის N 479 განკარგულების თანახმად, დაინიშნა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარედ.

ჰყავს მეუღლე და ვაჟიშვილი.

#### კომისიის წევრი - ბატონი დავით პატარაია

დავით პატარაია დაიბადა 1971 წლის 1 ოქტომბერს, ქ. თბილისში.

1988 წელს, ქ. თბილისის 150-ე სამუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ იურიდიულ, შემდეგ კი საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე. 1993 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურისტის კვალიფიკაციით.

1992-1993 წლებში იგი სწავლობდა ჯერ ნიურნბერგის, შემდეგ კი – საარლანდის უნივერსიტეტებში.

1992 წელს იყო საქართველოს სახელმწიფო საბჭოს წევრი.

1997 წლიდან მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე, ჯერ მასწავლებლად, ხოლო 2004 წლიდან – დოცენტის თანამდებობაზე.

## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

2005 წლიდან არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი. მიჰყავს ლექციების კურსი – „საერთაშორისო საჯარო სამართლა“.

1997 წლიდან 2000 წლის მაისის ჩათვლით მუშაობდა რადიო „თავისუფლების“ პოლიტიკურ მიმოხილველად. პარალელურად, 1996 წლიდან ეწეოდა საადვოკატო პრაქტიკას.

2000 წლის 11 ივნისს, საქართველოს პრეზიდენტის N596 განკარგულებით, დაინიშნა საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის პირველი შემადგენლობის წევრად, უფლებამოსილების 2 წლის ვადით. 2002 წლის 11 ივნისს, საქართველოს პრეზიდენტის N751 განკარგულებით მეორე ვადით დაინიშნა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრად, უფლებამოსილების 6 წლის ვადით.

2002 წლის 18 სექტემბრიდან არის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.  
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

### კომისიის წევრი - ბაგონი გიორგი ფრუიძე

გიორგი ფრუიძე დაიბადა 1968 წელს 23 სექტემბერს ქ. თბილისში. 1985 წელს დაამთავრა ქ. თბილისის N 102-ე სამუალო სკოლა. 1985-1992 წლებში სწავლობდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტზე.

2002-2004 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, სპეციალობით - ფინანსები და საბანკო საქმე.

1987-1989 წლებში იმყოფებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში.

1993-1994 წლებში მუშაობდა სს „საქვეირაბმშენის“ საკონსტრუქტორო ბიუროში ინჟინრის თანამდებობაზე.

1994-1996 წლებში მუშაობდა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტის სამშენებლო სამმართველოში ინჟინრის თანამდებობაზე.

1996-2001 წლებში მუშაობდა ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციული ინსპექციის სტრუქტურაში სხვადასხვა, ბოლოს განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.

2001-2003 წლებში (ლიკვიდაციამდე) მუშაობდა საქართველოს ქონების მართვის სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის ამავე სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსად, მინისტრის პირველ მოადგილედ.

2003 წლიდან 2004 წლის ივლისამდე მუშაობდა ს.ს.ი.პ. „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ თავმჯდომარის მოადგილედ.

2004 წლის 19 ივლისიდან დღემდე მუშაობს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში კომისიის წევრის თანამდებობაზე.

ჰყავს მეუღლე და ვაჟიშვილი.

### კომისიის წევრი - ბაგონი ზურაბ ნონიკაშვილი

ზურაბ ნონიკაშვილი დაიბადა 1957 წ. 6 ივლისს ქ. თბილისში. 1974 წელს დაამთავრა ქ. თბილისის მე-2 სამუალო სკოლა.

1975-1980 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, სპეციალობით მრეწველობის მგეგმავი ეკონომისტი.

1981 წ. მუშაობდა ს/გ „თემქის“ სპეცსაკონსტრუქტორო ბიუროში ინჟინრის თანამდებობაზე.

## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

1981-1989 წლებში მუშაობდა ს/გ “სამთო ქიმია” სხვადასხვა თანამდებობაზე (ბოლოს მთავარი ბუღალტრის მოადგილე).

1989-1992 წლებში მუშაობდა “მე-4 მაცივარკომბინატში” საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროსად.

1992-1993 წლებში მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასინჯი გედამხედველობის სახელმწიფო ონსექციაში მთავარი ბუღალტრად.

1993 წლს გაწვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, სადაც 2002 წლამდე მსახურობდა თავდაცვის სამინისტროს მთავარი სახამინო-საბიუჯეტო სამმართველოს საბიუჯეტო სამმართველოს უფროსის მოადგილედ/ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილების უფროსად.

1998 წლს მივლინებულ იქნა გერმანიაში “ნაფო”-ს სკოლაში.

არის თადარიგის ოფიცერი.

2003 წლის 30 ნოემბრიდან 2005 წლის 7 ივნისამდე მუშაობდა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემდეგ თანამდებობებზე: კომისიის წევრი, კომისიის მდივანი, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.


2005 წლის 5 ივლისიდან საქართველოს პრეზიდენტის 533-ე განკარგულებით დაინიშნა კომისიის წევრის თანამდებობაზე.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

### კომისიის რესურსები

#### ადამიანური რესურსები

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატი შედგება 9 სტრუქტურული ერთეულისაგან: სტრატეგიული დაგეგმარების სამსახური, ადმინისტრაციული სამსახური, მონიტორინგის სამსახური, ფინანსური სამსახური, სატელეკომუნიკაციო და საფოსტო ბაზის რეგულირების სამსახური, სამართლებრივ საკითხთა სამსახური, უნივერსალური მომსახურების სამსახური, სიხშირული რესურსების მართვისა და სტანდარტიზაციის სამსახური და მაუწყებლობის მონიტორინგის სამსახური. კომისიის აპარატის გარეთ ფუნქციონირებს მომხმარებელთა უფლებების დამცველის სამსახური და პრეს-მდივანი.



**კომისიის აპარატის თანამშრომლები**

**სტრატეგიული დაგეგმვარების სამსახური**

|                      |                    |
|----------------------|--------------------|
| უფროსი               | - გელა ბუთბაია     |
| წამყვანი სპეციალისტი | - გრიგოლ გოგელიძი  |
| წამყვანი სპეციალისტი | - ანა მიქელაძე     |
| სპეციალისტი          | - მზია გოგილაშვილი |
| სპეციალისტი          | - რევაზ სვანიძე    |
| სპეციალისტი          | - თამარ პოპიაშვილი |

**ადმინისტრაციული სამსახური**

|                     |                       |
|---------------------|-----------------------|
| უფროსი              | - იოსებ ხარებავაძე    |
| უფროსის მოადგილე    | - იუბა ლორიაძი        |
| მთავარი სპეციალისტი | - დავით ჭანკოტაძე     |
| სპეციალისტი         | - მაია ქადეიშვილი     |
| სპეციალისტი         | - ნათია ჯანელიძე      |
| სპეციალისტი         | - რევაზ მორგოშია      |
| სპეციალისტი         | - ღიმიგრი რაქვიაშვილი |
| ტექნიკური მდივნები  | - ვერიკო შედლიაშვილი  |
| სპეციალისტი         | - ნინო კალანდაძე      |
| სპეციალისტი         | - ნინო ჯავახიძე       |
| სპეციალისტი         | - ნინო ჩიქოვანი       |

**ფინანსური სამსახური**

|             |                    |
|-------------|--------------------|
| უფროსი      | - იოსებ აბულაძე    |
| სპეციალისტი | - ნატალია ჯანელიძე |

**მონიტორინგის სამსახური**

|                     |                    |
|---------------------|--------------------|
| უფროსი              | - მიხეილ გოთოშია   |
| მთავარი სპეციალისტი | - ციალა უჯმაჯურიძე |

**სისტერული რესურსების მართვისა და სტანდარტიზაციის სამსახური**

|                      |                         |
|----------------------|-------------------------|
| უფროსი               | - სერგო შავგულიძე       |
| მთავარი სპეციალისტი  | - თემურ ძავნიძე         |
| წამყვანი სპეციალისტი | - ნოდარ ასპანიძე        |
| სპეციალისტი          | - ანა დაბრუნდაშვილი     |
| სპეციალისტი          | - გამა გონჯილაშვილი     |
| სპეციალისტი          | - დავით ფულარიანი       |
| მართვის ცენტრის      |                         |
| უფროსი ინჟინერი      | - რომან ქურდაძე         |
| მობილური სისტემის    |                         |
| უფროსი ინჟინერი      | - ნიკოლოზ კონდოლელი     |
| უფროსი               |                         |
| ელექტრომექანიკოსი    | - ოთარ ჯანაშია          |
| მობილური სისტემის    |                         |
| მდლოლი               | - კახაბერ მამისევიშვილი |

**სატელეკომუნიკაციო და საფოსფო ბაზრის რეგულირების სამსახური**

|                      |                    |
|----------------------|--------------------|
| უფროსი               | - ელისო ასანიძე    |
| მთავარი სპეციალისტი  | - დავით ქუთათელაძე |
| წამყვანი სპეციალისტი | - ირმა დეკანოსიძე  |
| სპეციალისტი          | - ნინო ნიქარაძე    |
| სპეციალისტი          | - გოჩა გიორგაძე    |

**ტელერადიომაუწყებლობის მონიტორინგის სამსახური**

|                      |                      |
|----------------------|----------------------|
| უფროსი               | - გიორგი რატიშვილი   |
| წამყვანი სპეციალისტი | - ამირან შემანაშვილი |
| სპეციალისტი          | - მარიამ აროშიძე     |

**სამართლებრივ საკითხთა სამსახური**

|                      |                    |
|----------------------|--------------------|
| უფროსი               | - კახი ყერაშვილი   |
| მთავარი სპეციალისტი  | - ინგა თოლძრია     |
| წამყვანი სპეციალისტი | - ნიკოლოზ წერეთელი |
| წამყვანი სპეციალისტი | - გრიგოლ სულუხია   |

**უნივერსალური მომსახურების სამსახური**

|              |                     |
|--------------|---------------------|
| უფროსის მ.შ. | - დავით კიქნაძე     |
| სპეციალისტი  | - თიკო ტყეშელაშვილი |

**პრეს-მდიგანი** - სოფო ბრიტანჩეკი

**მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური**

|                           |                      |
|---------------------------|----------------------|
| მომხმარებელთა ინტერესების |                      |
| საზოგადოებრივი დამცველი   | - პავლე ბერია        |
| უფროსი თანამემწე          | - რევაზ შავიშვილი    |
| სპეციალისტი               | - ალექსანდრე აბესაძე |
| სპეციალისტი               | - ნათია შოვნაძე      |

**ტექნიკური პერსონალი**

|                  |                      |
|------------------|----------------------|
| ტექნიკოსი        | - ნეკრი რამმაძე      |
| მწე              | - გურაბ მიროფაძე     |
| მექანიკოსი       | - არტურ ავეტისოვი    |
| ელექტრიკოსი      | - ჯიმშერ სტეფანიძე   |
| კავშირგაბმულობის |                      |
| სპეციალისტი      | - გივი ბროლაძე       |
| მძღოლები         | - ავთო ამირაჯიშვილი  |
|                  | - სერგო ფეიქრიშვილი  |
|                  | - არჩილ ნონიკაშვილი  |
|                  | - ემბარ მათიაშვილი   |
| დამლაგებლები     | - ნარგიბა ბაქრაძე    |
|                  | - იმოლდა საგანელიძე  |
|                  | - გულიკო რევაზიშვილი |
|                  | - ადა ამირაჯიშვილი   |

### კომისიის ბიუჯეტი და ფინანსური რესურსები

2005 წელს “ელექტრონული კომუნიკაციების” შესახებ კანონის ძალაში შესვლამდე რეგულირების საფასური და საღიცებით გადასახდელი წარმოადგენდა კომისიის ბიუჯეტის ფორმირების ძირითად წყაროებს. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საღიცებით გადასახდელის 20% ლიცენზის მფლობელების მიერ ირიცხებოდა კომისიის ანგარიშზე და ამ თანხით ხორციელდებოდა კომისიის საქმიანობის დაფინანსება. საღიცებით გადასახდელი თანხის 80% კი მიემართებოდა კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად კომისიის მიერ სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე (უნივერსალური მომსახურების ფონდი).

2005 წლის მეორე ნახევრიდან, “ელექტრონული კომუნიკაციების” შესახებ კანონის ძალაში შესვლის შემდგომ, კომისიის ბიუჯეტის დაფინანსების ძირითად წყაროდ განისაზღვრა რეგულირების საფასური. აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, რეგულირების საფასურის ოდენობაა ავტორიზებული პირის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიან ღირებულებასა (ღდგ-ის გარეშე) და იმავე საანგარიშო თვეში სხვა ავტორიზებული პირების მიერ გაწეულ დაშვების ან/და ურთიერთხართვის მომსახურებაზე აღიარებულ გადასახდელებს შორის სხვაობის 1 პროცენტი. “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად რეგულირების საფასურის გადამხდელები არიან მაუწყებლობის სფეროში ლიცენზის მფლობელები. რეგულირების საფასურის ოდენობაა ლიცენზის მფლობელის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (ღდგ-ის გარეშე) 1 პროცენტი.

2005 წლის კომისიის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად დაიგეგმა 6,440,665.67 ლარის ოდენობით შემოსავლების მიღება. ბიუჯეტის წლიური გეგმის ფაქტობრივი შესრულების მიხედვით, წლიურმა დარიცხულმა შემოსავალმა ჯამში 9,993,991.37 ლარი შეადგინა, ანუ დაგეგმილზე 54.2%-ით მეტი. შემოსავლების სტრუქტურაში კომისიის საოპერაციო შემოსავლებიდან დარიცხულმა რეგულირების საფასურმა შეადგინა 5,089,352.80 ლარი, დარიცხულმა საღიცებით გადასახდელების 20%-მა - 4,830,478.57 ლარი.

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია**

**ცხრილი 1**

|            | <b>ბიუჯეტის მუხლები</b>   | <b>წლიური გეგმით<br/>დამტკიცებული<br/>ბიუჯეტი (ლარი)</b> | <b>ფაქტიური<br/>შესრულება<br/>(ლარი)</b> | <b>გადახრა<br/>ლარი<br/>(+/-)</b> | <b>შესრულება<br/>გეგმიურობა<br/>%-ში</b> |
|------------|---|--|--|-----------------------------------|--|
| <b>1</b>   | <b>სულ წლიური შემოსავლები</b>   | <b>6,440,655.67</b>                                      | <b>9,933,991.37</b>                      | <b>3,493,335.70</b>               | <b>54.24%</b>                            |
| <b>1.1</b> | წლიური საოპერაციო შემოსავლები   | 4,000,000.00   | 9,919,831.37                             |                                   |  |
| 1.1.1      | რეგულირების საფასური  | -  | 5,089,352.80                             |                                   |  |
| 1.1.2      | საღისაუმჯოო გადასახლევის<br>(20%)   | -  | 4,830,478.57                             |                                   |  |
| <b>1.2</b> | <b>სხვა შემოსავლები</b>   | <b>-</b>   | <b>14,160.00</b>                         |                                   |  |
| <b>1.3</b> | გასული წლის ფინანსური რეზერვის<br>ფონდი   | 2,440,655.67   |  |                                   |  |
| <b>2</b>   | <b>სულ ხარჯები</b>  | <b>6,225,043.00</b>                                      | <b>5,114,583.75</b>                      | <b>-1,110,459.25</b>              | <b>-17.84%</b>                           |
| <b>2.1</b> | ძირითადი სამუალებების შეძენა  | 2,500,000.00   | 1,681,176.01                             | -818,823.99                       | -32.75%                                  |
| <b>2.2</b> | წლიური საოპერაციო ხარჯები   | 3,475,093.00   | 3,285,115.20                             | -189,977.80                       | -5.47%                                   |
| 2.2.1      | საბანცელარიო, საფინანსო,<br>პოლიგრაფიული და<br>ექინიალურების ხარჯები  | 60,000.00  | 88,034.48                                | 28,034.48                         | <b>46.72%</b>                            |
| 2.2.2      | კომუნიკაციის,<br>ელექტრონურგუანგისა და<br>წყლის ხარჯი   | 100,000.00   | 108,243.70                               | 8,243.70                          | <b>8.24%</b>                             |
| 2.2.3      | ავტომანქანების საწავის,<br>შენსხვისა და რემონტის<br>ხარჯები   | 70,000.00  | 67,284.79                                | -2,715.21                         | -3.88%                                   |
| 2.2.4      | მივლინების ხარჯები  | 100,000.00   | 158,702.92                               | 58,702.92                         | <b>58.70%</b>                            |
| 2.2.5      | საბანკო მომსახურების<br>ხარჯები   | 8,000.00   | 12,838.67                                | 4,838.67                          | <b>60.48%</b>                            |
| 2.2.6      | კონფერენციების ჩატარების,<br>მემკვიდრეობის, კონფრინტის<br>და სპეციალისტთა და<br>ექსპერტთა მომსახურების<br>ხარჯები | 50,000.00  | 30,359.99                                | -19,640.01                        | -39.28%                                  |
| 2.2.7      | სხვადასხვა საწევრო<br>გადასახლევები   | 40,000.00  | 13,746.13                                | -26,253.87                        | -65.63%                                  |
| 2.2.8      | სამუნიკირო და<br>საკონსულტაციო სამუშაოთა<br>ხარჯები   | 80,000.00  | 55,200.00                                | -24,800.00                        | -31.00%                                  |
| 2.2.9      | წარმომადგენლობითი<br>ხარჯები  | 10,000.00  | 19,719.69                                | 9,719.69                          | <b>97.20%</b>                            |
| 2.2.10     | მიმღებარერემონტის<br>ხარჯები  | 250,000.00   | 134,084.91                               | -115,915.09                       | -46.37%                                  |
| 2.2.11     | შრომის ანაზღაურება  | 2,005,415.00   | 1,995,100.84                             | -10,314.16                        | -0.51%                                   |
| 2.2.12     | სახ. ბიუჯეტის ანარიცები   | 621,678.00   | 399,020.16                               | -222,657.84                       | -35.82%                                  |
| 2.2.13     | სხვა საქროო საოპერაციო<br>ხარჯები   | 80,000.00  | 202,778.92                               | 122,778.92                        | <b>153.47%</b>                           |
| <b>2.3</b> | მომხმარებელთა უფლებ. დაცვის<br>სამსახურის ხარჯები   | 249,950.00   | 148,292.54                               | -101,657.46                       | -40.67%                                  |
| <b>3</b>   | <b>სულ ფინანსური სარეზირვო ფონდის<br/>ფორმირება</b>   | <b>215,612.67</b>  | <b>4,819,407.62</b>                      |                                   |  |
| <b>3.1</b> | საბანგარიშო წლის ფინანსური<br>რეზირვის ფონდი  | 215,612.67   | 4,819,407.62                             |                                   |  |
| <b>4</b>   | <b>უნივერსალური მომსახურების ფონდი</b>  | <b>-</b>   | <b>5,118,900.18</b>                      |                                   |  |

## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

საანგარიშო წლის განმავლობაში ფაქტიურად დარიცხული შემოსავლების მატების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს დარგის საერთო შემოსავლების ზრდის ტენდენცია წარმოადგენს.

2005 წლის მდგომარეობით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე (უნივერსალური მომსახურების ფონდი) ღიცების მფლობელი კომპანიების მიერ 2001 წლიდან ჩარიცხული თანხების ოდენობამ ჯამში 5,950,647.44 ლარი შეადგინა, ხოლო მხოლოდ 2005 წელს ამ ანგარიშზე ჩარიცხულ იქნა 5,110,059.89 ლარი. უნივერსალური მომსახურების ფონდში 2005 წელს დარიცხულმა თანხამ 5,118,900.18 ლარი შეადგინა.

კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების განსახორციელებლად კომისიის დამტკიცებული ბიუჯეტის მუხლების შესაბამისად გაწეულმა ჯამურმა დანახარჯებმა 2005 წლის ფაქტიური მონაცემებით 5,114,583.75 ლარი შეადგინა, რაც ბიუჯეტით დაგეგმილ ოდენობაზე 1,110,459.25 ლარით ანუ 17,83%-ით ნაკლებია.

ძირითადი საშუალებების შეძენაზე კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯმა 1,681,176.01 ლარი ანუ ბიუჯეტით დამტკიცებულზე 818,823.99 ლარით (67.25%-ით) ნაკლები შეადგინა, რაც ძირითადად სიხმირული სპეციალური მონიტორინგისა და დაგეგმარების პროგრამულ-ტექნიკური სისტემის აღჭურვილობის მოწოდებისა და მისი ექსპლუატაციაში გაშვების ვალებთან დაკავშირებულ პირობებში შეტანილმა კორექტივებმა განაპირობა.

კომისიის მიერ საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯების ოდენობამ 2005 წელს 3,285,115.20 ლარი, ანუ ბიუჯეტით დამტკიცებულ ოდენობაზე 5,47%-ით ნაკლები შეადგინა.

საოპერაციო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცალკეული მუხლების პრიორიტეტული დაფინანსების უბრუნვლყოფის მიზნით კომისიამ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, მიზანშეწონილად ცნო რიგ შემთხვევაში საოპერაციო დანახარჯების მუხლებში კორექტივების შეფანა და ცალკეულ მუხლებში მიღებული ეკონომით გამოთავისუფლებული დამატებითი ფინანსური რესურსების საშუალებით სხვა პრიორიტეტული მუხლების დაფინანსება.

საკანცელარიო, საფოსტო, უკრნალ-გამტების შეძენისა და პოლიგრაფიული მომსახურების წლიურმა დანახარჯებმა 88,034.48 ლარი ანუ დაგეგმილზე 28,034.48 (46.72%-ით) ლარით მეტი შეადგინა, რაც ძირითადად განაპირობა აღნიშნული მუხლების ფაქტიური ხარჯის მატებამ. მათ შორის: საკანცელარიო ხარჯებმა შეადგინა 11,141.09 ლარი, საფოსტო ხარჯებმა – 8,529.09 ლარი, პოლიგრაფიულმა ხარჯებმა – 53,363.00 ლარი, ხოლო უკრნალ-გამტების გამოწერის ხარჯებმა – 10,935.39 ლარი;

კომუნიკაციის, ელექტრონურგიისა და წყლის ხარჯმა ნაცვლად ბიუჯეტის გეგმით გათვალისწინებული 100,000.00 ლარისა შეადგინა 108,243.70 ლარი, ანუ დაგეგმილზე 8.24%-ით მეტი.

ავტომანქანების საწვავის, შენახვისა და რემონტის ხარჯებმა 2005 წლის ფაქტიური დანახარჯების მიხედვით შეადგინა 67,284.79 ლარი, რაც 2,715.21 ანუ 3.88%-ით ნაკლებია კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებულზე;

კომისიის წევრებისა და აპარატის მუშაკების მიღლინებების დაფინანსებაზე გაწეული დანახარჯები გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით გაიზარდა 58,702.92 ლარით ანუ 58,70%-ით, რაც კომისიის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდისათვის მიზნობრივი მიღლინებების დანახარჯების დაფინანსების აუცილებლობით იყო გამოწვეული;

კონფერენციების ჩატარების, მუშა სემინარების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სპეციალისტთა მომსახურების ხარჯებმა წლიური ფაქტიური მონაცემების

## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

მიხედვით შეადგინა 30,359.99 ლარი, ანუ 19,640.01 ლარით (39.72%-ით) ნაკლებს ბიუჯეტით დამტკიცებულბეჭდი;

სამეცნიერო და საკონსულტაციო სამუშაოთა დაფინანსებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 55,200.00 ლარი, ბიუჯეტით დამტკიცებულთან შედარებით 24,800.00 ლარით ანუ 31.00%-ით ნაკლები;

კომისიის ოფისის მიმდინარე რემონტზე გაწეულმა დანახარჯებმა შეადგინა 119,827.91 ლარი, ხოლო კომპიუტერული ტექნიკის რემონტის ხარჯებმა - 14,257.00 ლარი. სულ ჯამში ოფისის მიმდინარე სარემონტო და ტექნიკის შეკეთების ხარჯებმა ბიუჯეტით დამტკიცებულბეჭდი 115,915.09 (53,63%) ლარით ნაკლები შეადგინა.

შრომის ანაბლურების ფაქტიურმა წლიურმა ხარჯებმა 1,995,100.84 ლარი ანუ ბიუჯეტით დამტკიცებულბეჭდი 10,314.16 ლარით ნაკლები შეადგინა;

2005 წელს 122,778.92 ლარით მეტი დაფინანსება მოითხოვა სხვა საერთო ხარჯების მუხლებით გათვალისწინებულმა ფაქტიურად განხორციელებულმა საქმიანობამ, აღნიშნული მუხლით გაწეულმა ჯამურმა დანახარჯებმა, ნაცვლად კომისიის ბიუჯეტით დადგენილი 80,000.00 ლარისა, შეადგინა 202,778.92 ლარი. გადახარჯვა გამოწვეული იყო კომისიის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე სააგენტოების მეშვეობით განცხადებების საჯაროდ, გაზრდილი მოცულობით გამოქვეყნებისათვის გადასახდელი ღირებულების მატებამ, მისმა ოდენობამ 2005 წლის ფაქტიური მონაცემების მიხედვით 46,341.65 ლარი შეადგინა, კომისიის საოფისე შენობის დაცვის ხარჯებმა - 28,800.00 ლარი, კონდინიციონერების გადატანის, მონტაჟისა და რემონტის ფაქტიურმა ხარჯებმა - 11,445.80 ლარი, ხოლო 2005 წლის გეგმით გაუთვალისწინებულმა ელექტრომაგნიტურ თავსებადობასა და ხელშემლებზე დაკავირვების სამსახურის მიერ კომისიისათვის გაწეულმა მომსახურების ხარჯებმა შეადგინა 69,627.64 ლარი.

მომხმარებელთა უფლებების სამოგადოებრივი დამცველისა და სამსახურის საქმიანობაზე კომისიის მიერ გაწეულმა ფაქტიურმა დანახარჯებმა ბიუჯეტით გათვალისწინებული 249,950.00 ლარის ნაცვლად, 148,292.54 ლარი შეადგინა.

კომისიის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის მუხლების, აგრეთვე კომისიის საქმიანობაში ფინანსური აღრიცხვიანობის თაობაზე აუდიტორული შემოწმება ჩატარებულია და შემოწმების დასკვნები მოცემულია წლიური ანგარიშის დანართში.

### მარეგულირებული კანონმდებლობა

2005 წელს პრაქტიკულად დასრულდა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზის სისტემური რეფორმების პირველი ეტაპი, რომელიც 1999 წელს დაიწყო. რეფორმირების პროცესში ეკონომიკის ამ სეგმენტში ინსტიტუციონალური და სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდა. ჩამოყალიბდა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების დარგის რეგულირების საუკეთესო საერთაშორისო და ევროპულ პრაქტიკასთან ჰარმონიზირებული სამართლებრივი საფუძვლები.

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების დარგში განვითარებულმა დადგებითმა ტენდენციებმა, და უფრო ფართო თვალთახედვით, ინვაციური ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვისა და საინფორმაციო სამოგადოების ფორმირების პროცესების გაღრმავებამ, მოითხოვა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების აუცილებლობა.

2005 წლის 6 ივნისს საქართველოს პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივით საქართველოს პარლამენტის მიერ განხილულ და მიღებულ იქნა კომისიის მიერ შემუშავებული კანონი “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ”, რომელშიც განისაზღვრა ქვეყნის ახლებური მიღვოძ და ხედვა ელექტრონული კომუნიკაციების განვითარების საკითხებში, დაისახა დარგის შემდგომი ლიბერალიზაციის, კონკურენციის

გაფართოებისა და მსოფლიო საინფორმაციო და საკომუნიკაციო საზოგადოებასთან ჰარმონიზაციის პრიორიტეტები.

კანონმა გაითვალისწინა ევროკავშირის და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ მომზადებული საბორკომენდაციო დირექტივები და მოთხოვნები. მისი მიღებით გადაიდგა კიდევ ერთი ხაბიჯი ევროპულ სივრცეში ინტეგრაციისაკენ.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონით განისაზღვრა ელექტრონული კომუნიკაციების დარღის ლიბერალიზების პროცესების გაღრმავებისა და კონკურენცუანარიანი საბაზრო გარემოს პირობების ჩამოყალიბების ხელშემწყობი ძირითადი პრინციპები. ახალი საკანონმდებლო მარეგულირებელი ინიციატივებიდან ხაზგასასმელია: ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის დაწყების და განხორციელების გამარტივების მიზნით დარგში საქმიანობის ინდივიდუალური ლიცენზირების რეგიმის შეცვლა ერთიანი (გენერალური) ავტორიზების მარტივი სისტემით; რადიოსისტირებული სპექტრის რესურსების ბაზარზე პირველადი განთავსების შემდგომ ამ რესურსების მეორადი მიმოქცევის ბაზრის ჩამოყალიბება (სისტირეული რესურსებით მეორადი ვაჭრობის სისტემა); ელექტრონული საკომუნიკაციო ბაზრის სეგმენტებზე კონკურენციის ანალიზის ჩატარებისას მეთოდოლოგიური მიღვომების განხორციელება და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალის მქონე ოპერატორების გამოვლენა მათ მიერ უპირატესობის ბოროტად გამოყენების აკრძალვის მიზნით; კონკერგენციისა და ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპების აღიარება; ავტორიზებული პირების საქმიანობაში კანონმდებლობისა და კომისიის გადაწყვეტილებების შესრულების ღრმის გამოვლენილი დარღვევების შემთხვევებში სანქციების ეკონომიკური სისტემის ამოქმედება. ამ კანონში ასახული ახალი მიღვომების გათვალისწინებით, ცვლილებები და დამატებები შევიდა კომისიის მარეგულირებელი უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების განმსაზღვრულ სხვა საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებში, მათ შორის “მაუწყებლობის შესახებ” (2004/12/23) და “დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შესახებ” საქართველოს კანონებში, კომისიის რიგ მარეგულირებელ დებულებებსა და დადგენილებებში.

### **კომისიის ფუნქციები, უფლებამოსილებები და ვალდებულებები**

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით საქმიანობის სფეროში კომისიის ძირითადი მარეგულირებელი უფლებამოსილებები და ვალდებულებები განსაზღვრულია საქართველოს კანონით “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ”. კანონის თანახმად კომისიის ძირითადი ფუნქციებია:

- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ავტორიზაცია;
- ამოწერვადი რესურსების მართვა და ეფექტიანად გამოყენების უბრუნველყოფა. რადიოსისტირებული სპექტრის ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოპოვების გამჭვირვალე და არალისკრიმინაციული პირობებისა და წესების დადგენა, შესაბამისი ლიცენზიების გაცემა და გაუქმება;
- მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების კვლევისა და ანალიზის ჩატარება, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების განსაზღვრა, კონკურენციის უბრუნველყოფის მიზნით ამ კანონით განსაზღვრული სპეციფიური ვალდებულებების დაკისრება და მათ შესრულებაზე გედამხედველობა და კონტროლი;
- ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების სერტიფიცირების, სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიური მომსახურების უბრუნველყოფა რადიოდანადგარებისა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალური მოწყობილობების სერტიფიცირების რეგლამენტის შესაბამისად;

## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტებთან დაშვების ან/და ურთიერთჩართვის ტექნიკურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება;
- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის განმახორციელებელ ავტორიტეტებს პირთა შორის, აგრეთვე მათსა და მომხმარებლებს შორის წარმოშობილი დავების გადაწყვეტა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში;
- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ავტორიტებისა და რადიოსისტმირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის პირობების დაცვამე ბედამხედველობა და მათი დარღვევისას კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება;
- სამოგადოებასთან დია, საჯარო და გამჭვირვალე ურთიერთობა;
- რადიოელექტრონული საშუალებების ელექტრომაგნიტური თავსებადობისა და მისი საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის ღონისძიებათა კოორდინაცია;
- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წარმოდგენა და მისი ინტერესების დაცვა საკუთარი უფლებამოსილებისა და საქართველოს მთავრობის მიერ დელეგირებული კომპეტენციის ფარგლებში;
- სამოყვარულო რადიოკავშირის დამყარებისა და სამოყვარულო რადიოსადგურების გამოყენების წესების განსაზღვრა;
- სხვა ფუნქციები, რომლებიც გამომდინარეობს ამ კანონიდან და კომისიის ამოცანებიდან;
- რადიოსისტმირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელთა შორის წარმოშობილი დავების გადაწყვეტა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

საქართველოს კანონი **“მაუწყებლობის შესახებ”** განსაზღვრავს კომისიის მარეგულირებელ ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს მაუწყებლობის სფეროში. აღნიშნული კანონის შესაბამისად კომისია უზრუნველყოფს:

- მაუწყებლობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ წინადადებების შემუშავებას სამოგადოებრივი ამონისა და სამაუწყებლო ბაბრის კვლევის შედეგების გათვალისწინებით და მათ განხორციელებაზე ბედამხედველობას და კონტროლს;
- სალიცენზიონი პირობების დადგენას, აგრეთვე ლიცენზიების გაცემას, მოლიფიცირებას, ლიცენზიების მოქმედების შეჩერებას და განახლებას, ლიცენზიების გაუქმებას;
- სისტმირული სპექტრის დადგენას და განაწილებას კანონით განსაზღვრული წესით;
- სისტმირების მინიჭებას;
- ლიცენზიის მფლობელის მიერ კანონის მოთხოვნებისა და სალიცენზიონი პირობების შესრულებაზე ბედამხედველობას და კონტროლს; კანონის მოთხოვნებისა და სალიცენზიონი პირობების დარღვევის შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელებისთვის შესაბამისი სანქციების დაკისრებას;
- თავისი უფლებამოსილების ფარგლებში კონკურენტული გარემოს შექმნისა და განვითარების ხელშეწყობას, სალიცენზიონ გადასახდელისა და რეგულირების საფასურის ოდენობისა და გადახდის წესის განსაზღვრას;
- საავტორო და მომიჯნავე უფლებების, მაგნე ბეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ და რეკლამის შესახებ საკანონმდებლო აქტების შესრულებაზე ბედამხედველობას და კონტროლს;

## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

- ლიცენზიის მფლობელთა შორის, აგრეთვე მათსა და მომხმარებლებს შორის წარმოშობილი სადაცო საკითხების გადაწყვეტას თავისი უფლებამოსილების ფარგლებში;
- სამართლებრივი აქტების მიღების.

## თავი II

### 2005 წელს კომისიის მიერ განხორციელებული საქმიანობის ანალიზი

2005 წელს კომისიამ, კანონმდებლობით მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების შესრულებისას, სხვადასხვა საკითხთან და ამოცანების გადაჭრასთან დაკავშირებით მიიღო მარეგულირებელი ხასიათის აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, მათ შორის: დადგენილებები, გადაწყვეტილებები სიხშირული სპექტრის და ხემერაციის რესურსებით სარგებლობის უფლების მინიჭებასთან, ოპერატორებს შორის წარმოშობილი დავების დარეგულირებასთან, საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის სეგმენტებშე კონკურენციის უზრუნველყოფასთან, მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან, ავტორიზებული პირებისა და ლიცენზიის მფლობელების საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევების აღკვეთასთან დაკავშირებით და სხვა. სულ 2005 წელს კომისიის მიერ მიღებული იქნა 12 დადგენილება და 818 გადაწყვეტილება.

### ❖ კომისიის დადგენილებები

კომისიის მიერ 2005 წელს მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილებები:

N1 - “კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე და სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე სალიცენზიონ გადასახდელის საწყისი ოდენობის განსაზღვრისა და სალიცენზიონ გადასახდელის გადახდის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს კომუნიკაციების კრონული კომისიის 2002 წლის 20 დეკემბრის N2 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეფანის თაობაზე” - 2005/01/11

დადგენილებით დატუსდა რიგი მარეგულირებელი წესები კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე და სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე სალიცენზიონ გადასახდელის საწყისი ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან და სალიცენზიონ გადასახდელის გადახდის პირობებთან დაკავშირებით.

N2 - “საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ბლოკული ტარიფების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს კომუნიკაციების კრონული კომისიის 2001 წლის 22 მაისის N5 დადგენილებაში ცვლილებების შეფანის შესახებ” - 2005/03/11

2005 წელს, კომისიამ გააანალიზა საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურების ბაზრის სეგმენტებშე ჩამოყალიბებული კონკურენცია და მიიჩნია იგი დამაკმაყოფილებელად, გამოიყენა თავისი უფლებამოსილება და გააუქმა 2001 წელს დადგენილი საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურების ბლოკული ტარიფები.

N3 - “საქართველოს კომუნიკაციების კრონული კომისიის 2001 წლის 10 ივლისის N6 დადგენილებაში “კავშირგაბმულობის ქსელების ურთიერთიანთვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე “ცვლილებებისა და დამატებების შეფანის შესახებ” - 2005/03/23

დადგენილებით მიღებული ცვლილებები და დამატებები შეეხო ურთიერთხართვის ხელშეკრულების პირობებს, მათ შორის ადგილობრივი სატელეფონო კავშირის სისტემით და ქსელით, სიხშირული სპექტრის გამოყენებით მოძრავი და ფიქსირებული რადიოსატელეფონო კავშირით და ფიჭური მობილური სატელეფონო კავშირით მომსახურე თერაფორმების მიერ საკუთარ ქსელში საცალო სატელეფონო და ურთიერთხართვის მომსახურების სახეებზე დადგენილი ტარიფების ოდენობების ობიექტურად განსაზღვრისა და გამჭვირვალობის უბრუნველყოფის პირობებს.

N5 - საქართველოს კომუნიკაციების ჯროვნულ კომისიაში სამშენებლო-ტექნიკური დოკუმენტაციის წარდგენისა და განხილვის შესახებ” დებულების დამტკიცების თაობებე “საქართველოს კომუნიკაციების ჯროვნული კომისიის 2001 წლის 15 მაისის N2 დადგენილებაში ცვლილებების შეფანის შესახებ” - 2005/03/25

დადგენილებით გამარტივდა ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარდგენილი სამშენებლო-ტექნიკური დოკუმენტაციის ქვეკომისიისათვის გადაცემისა და განხილვის ბოგიერთი პროცედურა.

N6 - “საქართველოს კომუნიკაციების ჯროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების”დამტკიცების თაობაზე კომისიის 2003 წლის 27 ივნისის N 1 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეფანის თაობაზე” - 2005/04/08

დადგენილების საფუძველზე, კომისიის საქმიანობის მარეგულირებელ წესებს დამატება სამოყვარელო რადიოსადგურების რეგისტრაციისა და გამოყენების მარეგულირებელი ნორმები.

N7 – “საქართველოს კომუნიკაციების ჯროვნული კომისიის 2001 წლის 10 ივნისის N6 დადგენილებაში “კავშირგაბმულობის ქსელების ურთიერთხართვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე” ცვლილებებისა და დამატებების შეფანის შესახებ” საქართველოს კომუნიკაციების ჯროვნული კომისიის 2005 წლის N3 დადგენილების ძალადაკრგულად გამოცხადების თაობაზე”. - 2005/04/26

საქართველოს კანონის “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკრგულად გამოცხადდა დადგენილება ”კავშირგაბმულობის ქსელების ურთიერთხართვის შესახებ“.

N8 – “საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ბლოკული ფარიფების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს კომუნიკაციების ჯროვნული კომისიის 2001 წლის 22 მაისის N 5 დადგენილებაში ცვლილებების შეფანის შესახებ”. - 2005/05/19

დადგენილების მიღება დაკავშირებული იყო “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპების რეალიზაციასთან. შეფანილი ცვლილებებით გამოირიცხა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის მფლობელი თერატორიების მიერ სხვადასხვა ურთიერთთავებადი ტექნიკური სტანდარტების გამოყენების შეზღუდვა. განისაზღვრა ადგილობრივი და საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურების ოპერატორების მიერ ურთიერთთავებულების უბრუნველყოფის მიზნით თავიანთი ქსელების მახასიათებლების ჰარმონიზაციებულ ტექნიკურ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე ვალდებულების პირობები. დადგენილება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ შეტანილი იქნა ნორმატიული აქტების სახელწიფო რეესტრში, თუმცა იგი ოფიციალურად არ გამოქვეყნებულა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში. შემდგომში კომისიამ N 11 დადგენილებით, ძალადაკრგულად ცნო აღნიშნული დადგენილება.

**N9 - “ურთიერთჩართვის მომსახურების მდგრული ფარიფების დამტკიცების თაობაზე” - 2005/06/06**

დადგენილებით განისაზღვრა ურთიერთჩართვის ძირითადი მომსახურების ბედა ბლვრული ტარიფები, შემდეგი ოდენობით:

- ფიჭური სატელეფონო კავშირის ოპერატორის საკუთარ ქსელში ურთიერთჩართვის ძირითადი მომსახურების გარის წამოწყების ან/და დასრულების - 0,188 ლარი;
- ადგილობრივი კავშირის ოპერატორის საკუთარ ქსელში ურთიერთჩართვის ძირითადი მომსახურების ტარიფი ადგილობრივი კავშირის ზონაში გარის წამოწყება ან/და დასრულებაზე 0,04 ლარი; და
- ადგილობრივი კავშირის ზონაში ტანდემური და ორმაგი ტანდემური გარის წამოწყება ან/და დასრულებაზე 0,05 ლარი.

დადგენილებით, აგრეთვე, განისაზღვრა ფიჭური სატელეფონო კავშირის ოპერატორის ქსელიდან ადგილობრივი კავშირის ოპერატორის ქსელში გარის დასრულების და ადგილობრივი კავშირის ოპერატორის ქსელიდან ფიჭური სატელეფონო კავშირის ოპერატორის ქსელში გარის დასრულების მომსახურების ტარიფის დადგენის ბოგადი წესი.

**N10 – “უნივერსალური მომსახურების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე” - 2005/09/16**

დებულებით განისაზღვრა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში უნივერსალური მომსახურების მიწოდების საკითხები.

**N11 - “საჯროსამორისო საფელეფონო კავშირით მომსახურებაზე მდგრული ფარიფების დამტკიცების თაობაზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2001 წლის 22 მაისის N5 დადგენილებაში ცვლილებების შეცვალის შესახებ” - 2005/10/21**

დადგენილებით ცვლილებები შევიდა კომისიის 2001 წლის 22 მაისის N 5 დადგენილებაში.

**N12 - “რეგულარების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ” - 2005/10/28**

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის მე-12 მუხლის, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის, „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კომისიამ აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრა ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში მოქმედი პირების მიერ კომისიისათვის ყოველთვიურად წარსადგენი რეგულირების საფასურის დეკლარაციის ფორმა, მისი წარდგენის წესი.

**N13 – “რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლდად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ”. - 2005/12/12**

დებულებით დადგინდა სახელმწიფო რადიოსიხშირული სპექტრის ან ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად აუქციონის გამართვისას კომისიის უფლებამოსილებები და ვალდებულებები, აუქციონის გამართვის პროცედურა, მათ შორის გამარჯვებულის გამოვლენისა და შესაბამისი სალიცენზიონ მოწმობის გაცემის, რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად აუქციონის ჩატარებისას რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი თღენობის განსაზღვრის,

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ამოწერვადი რესურსებით სარგებლობის რაოდენობრივი, თვისობრივი და დროში განსაზღვრული ნორმები და წესები.

**❖ კომისიის გადაწყვეტილებები**

2005 წელს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისის მიერ მიიღებულ იქნა 818 გადაწყვეტილება. აქედან:

ცხრილი 2

|    | გადაწყვეტილების ტიპი   | რაოდენობა |
|----|--|-----------|
| 1  | სიხშირეების მინიჭება   | 134       |
| 2  | ლიცენზიის გაცემა   | 58        |
| 3  | ლიცენზიის ვადის გაცემა/მოდიფიცირება  | 9         |
| 4  | ლიცენზიის გადაპირება   | 2         |
| 5  | ლიცენზიის გაუქმება   | 7         |
| 6  | კომერციული კონკურსის გამოცხადება   | 11        |
| 7  | გამარჯვებულად გამოვლენის შესახებ   | 12        |
| 8  | დავის განხილვა (და მის ორგვლივ საკითხები)  | 21        |
| 9  | წარმოების დაწყება (შეწყვეტა, დღის დანიშვნა და სხვა)  | 50        |
| 10 | ნუმერაციის რესურსის გამოყენებაზე ნებართვის გაცემის შესახებ   | 4         |
| 11 | მაღალსიხშირული მოწყობილობების გამოყენებაზე ნებართვის გაცემის შესახებ   | 17        |
| 12 | მაღალსიხშირული მოწყობილობების საქართველოში შემოტანაზე ნებართვის გაცემის შესახებ  | 89        |
| 13 | საზღვაო ხომლადებისთვის სახმობისა და ამოცნობის ნიშნების გამოყენების და მინიჭების შესახებ  | 30        |
| 14 | სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიომოყვარულისათვის რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების გამოყენებისათვის სახმობის მინიჭების შესახებ | 63        |
| 15 | გაფრთხილების შესახებ   | 67        |
| 16 | მეტობელ ტერიტორიაზე რადიოსამაუწყებლო სადგურებისთვის მინიჭებული სიხშირეების გამოყენებაზე თანხმობის გაცემის შესახებ  | 71        |
| 17 | განცხადების განუხილველად დაფოვების შესახებ   | 13        |
| 18 | კომისიის გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის შესახებ   | 27        |
| 19 | კომისიის დღის წესრიგის მიღების შესახებ   | 52        |
| 20 | სხვადასხვა   | 81        |

## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებებიდან უმეტესი ნაწილი (134-იდან 132 გადაწყვეტილება) დაკავშირებული იყო შიდასაწარმოო და ტექნოლოგიური დანიშნულებით, არაკომერციული მიზნით რადიოსიხშირების გამოყენებასთან.

რიგი გადაწყვეტილებებისა მიღებულ იქნა კომისიის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით. 2005 წელს ლიცენზირებული და ავტორიზებული პირების მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით კომისიამ მიიღო გადაწყვეტილებები, მათ შორის: 67 გადაწყვეტილება დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე გაფრთხილების შესახებ, აქედან 62 შემთხვევა შეეხო ტელეკომპანიების და 5 გადაწყვეტილება საკომუნიკაციო კომპანიების საქმიანობისას გამოვლენილ დარღვევებს. ტელეკომპანიების შემთხვევაში, პრაქტიკულად ყველა გაფრთხილება დაკავშირებული იყო “საავტორო და მომიჯნავე უფლებების” და “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონების მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფის საკითხებითან.

2005 წელს კომისიის მიერ ლიცენზიებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებებიდან:

- ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებული იყო - 58,
- სალიცენზიო პირობების მოდიფიცირებასთან - 7,
- ლიცენზიის მოქმედების გადის გაგრძელებასთან - 2,
- ლიცენზიის გადაპირებასთან - 2,
- კონკურსში გამარჯვებულად ცნობასთან – 12, და
- ლიცენზიის გაუქმებასთან - 7 გადაწყვეტილება.

### სანქცირება

#### ჯარიმის დაკისრება

2005 წელს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ცხრა შემთხვევაში გამოიყენა თავისი უფლებამოსილება და საქართველოს ბიუჯეტის სასარგებლოდ საერთო ჯამში 28 ათასი ლარის აღმინისტრაციული სახლელის გადახდა დააკისრა სხვადასხვა კომპანიას. აქედან 6 შემთხვევაში, კომისიამ აღნიშნული სანქცირების ბომბა გამოიყენა ლიცენზიის მფლობელი კომპანიების მიმართ უცხოური არხების საავტორო უფლებების დარღვევით უკანონოდ რეტრანსლირების გამო. ერთ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა მხატვრული ფილმის ეთერში გადაცემას, შესაბამისი უფლების არქონის პირობებში. ორჯერ კი, კომისიამ დააჯარიმა ამიერკავკასიაში რესერტის ჯარების დაჯგუფება სიხშირეული რესურსების უკანონოდ გამოყენებისა და გადაცემების რეტრანსლირებისათვის.

#### მავნე ზეგავლენისგან არასრულწლოვანთა დაცვა

2005 წელს გამოვლინდა ცალკეული სამაუწყებლო კომპანიების მიერ „მაუწყებლობის შესახებ“, „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“, „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონების მოთხოვნების შეუსრულებლობის ფაქტები. საზოგადოების მხრიდან კომისიისთვის მომართვის საფუძველზე დარღვევებთან დაკავშირებით კომისიამ დაიწყო საჯარო აღმინისტრაციული წარმოება. კომისიამ დადასტურებულად სცნო შეს „მზის“ და შეს „სამაუწყებლო კომპანია რესთავი 2“-ის მიერ „მავნე ზეგავლენისგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნების დარღვევის ფაქტი და შესაბამისად ორივე კომპანიას დააკისრა 5 დღის ვადაში საკუთარ ეთერში, საუკეთესო

დროს დეკლარაციის გადაცემა მის მიერ აღნიშნული დარღვევების თაობაზე. აგრეთვე, 10 დღის ვადაში მათ კანონიერ მფლობელობაში არსებული ფილმების ინვენტარიზაცია მათთვის კანონით გათვალისწინებული კატეგორიების მინიჭების მიზნით.

ამავე დროს, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლებისა და გარემოებების არარსებობის გამო კომისიამ არ დააკმაყოფილა მოთხოვნები: შპს “სამაუწყებლო კომპანია რესტავი 2”-ის ლიცენზიის შეჩერების, შპს “მზე”-ს გაფრთხილების, შპს “ტელეკომპანია თბილისის” დაჯარიმებისა და მისთვის ლიცენზიის შეჩერების, შპს “ტელეიმედისათვის” და შპს “:ტელეკომპანია თბილისისათვის” დეკლარაციის გადაცემის ვალდებულების დაკისრების თაობაზე.

### სტატისტიკური ანგარიშების სისტემა

მაუწყებლობისა და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის კონკრეტული სეგმენტების განვითარების თაობაზე კვლევისა და ანალიზის სისტემის ამქმედებისათვის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება დარგის სტატისტიკური მონაცემების საანგარიშგებო სისტემის ჩამოყალიბების შესახებ.

გადაწყვეტილებით განისაზღვრა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების და მაუწყებლობის ბაზარის სეგმენტებში მოქმედი პირების მიერ თავიანთი საქმიანობის შესახებ ფინანსურულობისათვის და ტექნიკური მონაცემების თაობაზე კომისიისათვის ინფორმაციის მიწოდების ფორმები და ვალები, მონაცემების ანალიზის, შეფასებისა და ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის განვითარების ტენდენციების გამოვლენის ეფექტური კრიფერიუმები.

### ავტორიზაციის ფორმა

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად კომისიამ შეიმუშავა და მიღებული გადაწყვეტილებით დაამტკიცა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სფეროში საქმიანობის მსურველი პირების ავტორიზაციის სპეციალური ფორმა (დეკლარაცია).

### კომუნიკაციული კონკურსები

კომისიის მიერ 2005 წელს ჩატარდა კომუნიკაციული კონკურსები სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობის ლიცენზიის, სიხშირული სპექტრის რესურსებით სარგებლობაზე უფლების, აგრეთვე ტელერადიომაუწყებლობის განსახორციელებლად და მონაცემების მოსაპოვებლად. კომუნიკაციული კონკურსები და აუქციონები ჩატარდა:

- ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე 850 მგპ სიხშირულ დიაპაზონში;
- მოძრავი და ფიქსირებული რადიოსატელეფონო კავშირით საქმიანობაზე 1900 მგპ სიხშირულ დიაპაზონში;
- ტელერადიომაუწყებლობის სხვადასხვა სახეზე, მათ შორის საეთერო სპეციალიზებულ და კერძო საერთო რადიომაუწყებლობაზე, აგრეთვე საეთერო საერთო ტელემაუწყებლობაზე.

### “აკვაფონის საქმე”

2003 წლიდან კომისიისათვის ცნობილია, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს GSM ოპერატორი ს/ს “აკვაფონი”, რომელიც, სავარაუდოდ წარმოადგენს რუსული კომპანია “მეგაფონის” მიერ

კონტროლირებად კომპანიას. “მეგაფონის” წარმომადგენლები, ოფიციალურად უარს აცხადებენ, “აკვაფონთან” როებინგის გარდა რაიმე სახის ბიზნეს კავშირზე, თუმცა ამავე დროს, ხმირად იხსენიებენ მას საკუთარ გამოსვლებში და პრეს-რელიზებში. “აკვაფონი” ფუნქციონირებს 900 MHz ბოლომზ და იუნებს კოდს 282-67.

საკითხის არსებითი მხარის ნათლად გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია კოდების განაწილების პროცედურის გაშუქება.

უპირველეს ყოვლისა, “საერთაშორისო საფელეკომუნიკაციო გაერთიანება” - (ITU), ორგანიზაცია, რომელიც წესდებით ასრულებს კოდების განაწილების საკითხებში საერთაშორისო მაკომინირებელ ფუნქციას, ანიჭებს კოდს (ე.წ. “MCC კოდი”) ქვეყანას მობილური კავშირის ქსელებით საქმიანობის წარმოებისათვის. საქართველოს შემთხვევაში ქვეყნისათვის მინიჭებულია კოდი 282 (ისევე, როგორც საერთაშორისო სატელეფონო კავშირისათვის 995 კოდია მინიჭებული).

ყოველ ავტორიზებულ პირს მობილური საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ავტორიზების პროცედურის გავლის შემდგომ ენიჭება საქსელო იდენტიფიცირების (ე.წ. “MNC კოდი”) კოდი (მაგალითად 01, 02, 03 და ა.შ.). კოდის ამ მეორე სეგმენტის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, რომელიც მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციას აწვდის ITU-ს საკომინიციო მონაცემთა ბაზაში შეტანის მიზნით.

კომპანია “აკვაფონი” არ არის რეგისტრირებული საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, მას არ გაუვლია მობილური კავშირით მომსახურების საქმიანობაზე ავტორიზაცია და შესაბამისად, კომისია ვერ მიიღებდა გადაწყვეტილებას ამ კომპანიისათვის 282-67 MNC კოდის მინიჭებაზე. კომისიაში არსებული ინფორმაციით კომპანია “აკვაფონი” ასევე არ არის რეგისტრირებული რესეტის ფედერაციაში.

ბერძოლ თქმულიდან გამომდინარე, კომპანია “აკვაფონი” არ წარმოადგენს ავტორიზებულ პირს, შესაბამისად, მას კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად ოფიციალურად არ აქვს მინიჭებული 282-67 კოდი და იგი არ არის გადასახადის გადამხდელი საქართველოს ბიუჯეტში. იგი ფუნქციონირებს არალეგალურად. კოდის უკანონოდ გამოყენების გარდა, იგი ასევე უკანონოდ იყენებს GSM სისტემებს, რომლებიც სხვა კომპანიებზეა გაცემული კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით.

ფაქტიურად აღნიშნული კომპანია არსებობს, ფუნქციონირებს, იყენებს საქართველოსათვის მინიჭებულ MCC კოდს და მიითვისა MNC კოდი 67, რომელიც საერთაშორისო მასშტაბით, არამართლობირი გზებით, ცნობადი გახადა.

კომისიამ არერთხელ მიმართა ITU-ს აღნიშნული საკითხის თაობაზე, თუმცა მიღებულ ოფიციალურ წერილებზე დაყრდნობით, საერთაშორისო ორგანიზაცია კავშირში არ არის შექმნილ ვითარებასთან და მისი წესდების შესაბამისად, მას რაიმე აღმკვეთი ბომის მიღება არ შეუძლია.

### **ბაზრის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევა და ანალიზი**

2005 წლის განმავლობაში, კომისიის მიერ რამდენჯერმე ჩატარდა ბაზრის სხვადასხვა სეგმენტზე ჩამოყალიბებული კონკურენციის კვლევა და ანალიზი. ჩატარებული კვლევის საფუძველზე კომისიამ მიიღო გადაწყვეტილებები, რომელთა შესაბამისად გამოვლინდა ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალის ქვემთხვევაში გადაწყვეტილ კონკურენციის უბრუნველყოფის მიზნით მათზე დასაკისრებელი ვალდებულებების, მათ შორის: საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჭვირვალობის, დისკრიმინაციის აკრძალვის, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების, საფარიფო რეგულირების და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულების არსებითი პირობები. კომისიის მიერ

კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით ბაზრის კვლევა და ანალიზი ჩატარდა ბაზრის შემდეგ სეგმენტებზე:

- სახაზო საკაბელო წყვილებთან დაშვების (სააბონენტო ხაზების იჯარა)
- მომსახურების ბაზრის სეგმენტი;
- საკომუნიკაციო კანალიზაციაში არხებთან დაშვების და კაბელების გატარების მომსახურების ბაზრის სეგმენტი ;
- ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელებით ბოლო მომხმარებლების აღვილობრივი და საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურების ბაზრის სეგმენტი;
- ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელების ოპერატორების მიერ აღვილობრივი მომსახურების ზონაში სატელეფონო ბარების წამოწყება/დასრულების მომსახურებს ბაზრის სეგმენტი.

### დავების განხილვა

კომისიამ 2005 წლის განმავლობაში განხილა კომპანიებს შორის მიმდინარე 12 დავა. დავები ძირითადად შეეხებოდა:

- ურთიერთჩართვის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებულ საკითხებს;
- ურთიერთჩართვისა და დაშვების გაწეულ მომსახურებაზე ანგარიშსწორებას, ტარიფების ოდენობებს;
- დალებული ურთიერთჩართვის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობას;
- სააბონენტო წყვილებთან შეუბლებავი დაშვების უზრუნველყოფას და პირობებს, თანალოკაციის ფართის გამოყოფას;
- წემერაციის რესურსებით სარგებლობის პირობების დარღვევას;
- ურთიერთჩართვის დამატებითი და გაფართოებული მომსახურების სახეებზე ხარჯზე ორიენტირებული ტარიფის დადგენას და სხვა.

უმრავლეს შემთხვევაში, დავები მიმდინარეობდა სს „საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიასთან“ (8 შემთხვევა); 3 დავა დასრულდა ოპერატორებს შორის მორიგებით.

### მომხმარებელთა უფლებების დაცვა

მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და მიწოდებული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფა წარმოადგენს კომისიის საქმიანობაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანას.

2005 წელს, მომხმარებლებისაგან შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ანალიზიდან გამოიკვეთა მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით რამდენიმე ძირითადი პრობლემა, კერძო:

1. სატელეფონო ხაზებში მესამე პირთა მხრიდან არასანქცირებული ჩართვა;
2. ინტერნეტით ე.წ. ვირუსეული პროგრამების საშუალებით მომხმარებლის ნებართვის გარეშე საერთაშორისო გარების განხორციელება;
3. უხარისხო სატელეფონო მომსახურება, დაუსაბუთებელი ანგარიშების გამოწერა და ტელეფონების გათიშვა;
4. მომხმარებელთა ინფორმირებასთან დაკავშირებული ხარვეზები;
5. მაუწყებლობის დარგში არასრულწლოვანთა მავნე განვითარებისაგან დაცვის თაობაზე განვითარების განხორციელება.

მომხარებელთა განცხადებებისა და საჩივრების საჯარო განხილვების, ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე გამოიკვეთა მომხარებელთა უფლებებისა და კანონიერი

## **საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია**

ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით გადასაწყვეტი საკითხებისა და ამოცანების ნება, დაისახა მათი გადაწყვეტის გზები, რომელთა განხორციელებას კომისია 2006 წელსაც განაგრძობს.

### **საერთაშორისო ურთიერთობები**

კომისია თავის საქიანობაში დიდ ყერადღებას აქცევს საერთაშორისო ორგანიზაციებით თანამშრომლობისა და საქმიანობის კოორდინაციის საკითხებს. იგი წარმოადგენს საქართველოს რიგ საერთაშორისო ორგანიზაციაში. კონკრეტულად, კომისია მჭიდროდ თანამშრომლობს ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტთან (ETSI), მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტთან (ICANN/GAC), საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანებასთან (ITU).

კომისია 2001 წლის 20-21 ნოემბერს გახდა ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტის (ETSI) ასოცირებული წევრი, საერთო ევროპული ჰარმონიზებული სტანდარტების გაცნობისა და მათი შემდგომი დანერგვის მიზნით.

2005 წელს საქართველო მე-100 წევრი გახდა მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის საკონსულტაციო კომიტეტში (ICANN/GAC).

კომისიის მიერ უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები ევროპის სატელეკომუნიკაციო და საფოსტო აღმინისტრაციების კონფერენციაში გასაწევრიანებლად.

კომისია, თავისი დაარსების დღიდან, მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანებასთან (ITU). კომისიის წარმომადგენლები ყოველწლიურად აქტიურ მონაწილეობას დებულობენ ITU-ს ეგიდით მოწყობილ მარეგულირებლების გლობალურ სიმპოზიუმებში.

### **საქართველოს რადიოსისტირებული სპექტრის მონიტორინგის სისტემა**

ერთიანი რადიომონიტორინგის ავტომატური სისტემის შექმნა წარმოადგენს ყველაზე უფექტიან საშუალებას ეთერში არსებული მდგომარეობის შესახებ რეალური ინფორმაციის ღრულად მისაღებად. ამ მიმართულებით კომისიამ 2005 წელსაც განაგრძო მუშაობა, რომელიც დაიწყო წინა წელს შემუშავებული სტრატეგიული პროექტის განხორციელების ფარგლებში.

2005 წელს რადიოსისტირებული სპექტრის მონიტორინგისა და სპექტრში გამსივებული წყაროების საქართველოს ტერიტორიაზე დაგეგმარების პროცენტული უზრუნველყოფის მოწოდების მიზნით ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა კომპანია “Aerosistems International Inc”. აგრეთვე, დაიგეგმა 2006 წელს რადიომონიტორინგის სადგურების და მართვის ცენტრის სრული დაკომპლექსება და სისტემის საექსპლუატაციო რეჟიმში გაშვება.

სისტირეთა კოორდინაციის საკითხებთან დაკავშირებით 2005 წლის განმავლობაში განსაკუთრებული ყერადღება დაეთმო საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანებასთან (ITU) და მეზობელ ქვეყნებთან კომისიის, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში განხორციელებული ურთიერთთანამშრომლობის გააქტიურებას. ჩატარდა რიგი სამუშაოები საქართველოსთვის ციფრული და ანალოგური სატელეკომუნიკაციის სამსახურების სისტირელი მინიჭებების რეგისტრაციისათვის. ანალოგურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე განდაგმავალ ეტაპზე საქართველოს გამოყენებულ 178 რადიოსისტირებული არხი ციფრული ტელემაუწყებლობის განსახორციელებლად, ჩატარდა საკოორდინაციო პროცედურა 418 ანალოგური სატელეკომუნიკაციის და განხორციელდა 7 სისტირელი მინიჭება საპარტნერო სანავიგაციო სამსახურისათვის.

**თავი III**  
**საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების  
ბაზის მიმოხილვა**

**საქმიანობაზე გაცემული ლიცენზიები და დინამიკა წლების მიხდვით**

2005 წლის ბოლოსათვის, ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარზე სულ საქმიანობა 230 კომპანია, მათ შორის 15-მა კომპანიამ 2005 წელს პირველად დაიწყო საქმიანობა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში.

2000-2005 წლების განმავლობაში საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ბაზარის სხვადასხვა სეგმენტებში საქმიანობაზე გაცემული ლიცენზიების რაოდენობის მატება ეკონომიკის ამ სექტორში საინვესტიციო მიმმიღვევლობისა და ეფექტიანი კონკურენციის მრავის ტენდენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაჩვენებელია. 2005 წლის მიწურულს ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარზე მოქმედ პირებზე სულ გაცემული იყო 385 ლიცენზია, მათ შორის 160 გაიცა კომისიის ჩამოყალიბებამდე და კომისიის მიერ მათი ხელახალი რეგისტრაცია საღიცენზით რეესტრში განხორციელდა 2000 წელს.

**ცხრილი 3**

| მოქმედი ლიცენზიების<br>რაოდენობა             | 2000<br>მდე | 2001       | 2002       | 2003       | 2004       | 2005       |
|--|-------------|------------|------------|------------|------------|------------|
| ფიქსირებული<br>საკომუნიკაციო მომსახურება     | 21          | 37         | 56         | 70         | 88         | 100        |
| მობილური საკომუნიკაციო<br>მომსახურება        | 8           | 8          | 8          | 10         | 11         | 16         |
| თანამგზავრული სისტემებით<br>მომსახურება      | 28          | 33         | 38         | 38         | 40         | 40         |
| ტელერადიომაუწყებლობა                         | 97          | 106        | 116        | 140        | 166        | 194        |
| საფოსტო მომსახურება                          | 6           | 10         | 11         | 16         | 22         | 26         |
| სხვა   |             |            |            |            |            | 9          |
| <b>სულ მოქმედი ლიცენზიების<br/>რაოდენობა</b> | <b>160</b>  | <b>194</b> | <b>229</b> | <b>274</b> | <b>327</b> | <b>385</b> |

2005 წელს კომისიის მიერ საქმიანობის სხვადასხვა სახეზე სულ გაიცა 58 ლიცენზია და მოქმედი ლიცენზიების რაოდენობა 2000 წელთან შედარებით 2,4-ჯერ გაიზარდა. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში გაცემული ლიცენზიების რაოდენობის ყველაზე მეტი მატება დაფიქსირდა ელექტრონული ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელებით მომსახურების ბაზრის სეგმენტზე – 21 ერთეულიდან 100-მდე. მსურველი პირებისათვის არანაკლებ მიმმიღველი იყო მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის სეგმენტიც საღაც გაცემული ლიცენზიების რაოდენობა ორჯერ გაიზარდა და 2005 წლის ბოლოსათვის 16 ერთეული შეადგინა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

|                             |  | ცხრილი 4   |
|-----------------------------|--|--|
| ბაზის სეგმენტი              |  | მოქმედი ლიცენზიების რაოდენობის ზრდა<br>2000 წელთან შედარებით (ჯერ) |
| ფიქსირებულისაკომუნიკაციო    |  | 4,8  |
| მობილური საკომუნიკაციო      |  | 2,0  |
| თანამგზავრული საკომუნიკაციო |  | 1,4  |
| ტელერადიომაუწყებლობა        |  | 2,0  |
| საფოსტო მომსახურება         |  | 4,0  |
| <b>სულ ჯმში</b>             |  | <b>2,4</b>   |

2000-დან 2005 წლამდე პერიოდში მსურველ პირებზე გაცემული ლიცენზიების რაოდენობა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეების მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ცხრილი 5

|   | ლიცენზიის სახე  | 2000 მდე | 2001 | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | სულ: |
|---|---|----------|------|------|------|------|------|------|
| 1 | ადგილობრივი სატელეფონო კავშირის სისტემითა და ქსელით მომსახურება   | 10       | 5    | 6    | 7    | 3    | 4    | 35   |
| 2 | საქალაქოაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირებით მომსახურება   | 2        | 5    | 4    | 4    | 6    | 5    | 26   |
| 3 | ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო მაგისტრალების სიმეტრიული, კომუნიკაციური და ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალებით მომსახურება | 4        | 1    | 4    | 2    | 3    | 1    | 15   |
| 4 | საქალაქოაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირებით მომსახურება თანამგზავრული სისტემის გამოყენებით                  | 12       | 3    |      |      |      |      | 15   |
| 5 | მოძრავი და ფიქსირებული რადიოსატელეფონო კავშირით საქმიანობა  | 3        |      |      |      |      |      | 3    |
| 6 | ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურება  | 4        |      |      | 1    |      | 5    | 10   |
| 7 | მონაცემთა გადაცემისა და ინტერნეტის საკაბელო ქსელით მომსახურება  | 3        | 4    | 5    | 1    | 6    | 2    | 21   |

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია


|    |  |     |    |    |    |    |    |     |
|----|--|-----|----|----|----|----|----|-----|
| 8  | მონაცემთა გადაცემისა და<br>ინტერნეტის ქსელით<br>მომსახურება<br>რადიოხაზების<br>გამოყენებით                             |     |    |    |    | 1  |    | 1   |
| 9  | მონაცემთა გადაცემისა და<br>ინტერნეტის მიწისბედა<br>ქსელით მომსახურება<br>სიხშირეების გამოყენებით                       | 2   | 1  |    |    |    |    | 3   |
| 10 | მონაცემთა გადაცემისა და<br>ინტერნეტის ქსელით<br>მომსახურება<br>თანამგზავრული სისტემის<br>გამოყენებით                   | 16  | 2  | 5  |    | 2  |    | 25  |
| 11 | პეიჯინგური სისტემით<br>მომსახურება   |     |    |    | 1  |    |    | 1   |
| 12 | თრანსფერი სისტემით<br>მომსახურება  | 1   |    |    |    |    |    | 1   |
| 13 | საეთერო სპეციალიზებული<br>ტელემაუწყებლობა  |     |    |    | 1  | 1  | 1  | 3   |
| 14 | საეთერო საერთო<br>ტელერადიომაუწყებლობა   | 65  |    |    | 2  | 2  |    | 69  |
| 15 | საეთერო სატრანზიტო<br>ტელემაუწყებლობა  | 23  |    |    |    |    | 8  | 31  |
| 16 | საკაბელო საერთო<br>ტელერადიოსამაუწყებლო<br>ქსელით მომსახურება  |     |    | 1  | 1  | 1  | 2  | 5   |
| 17 | საკაბელო<br>სპეციალიზირებული<br>ტელერადიოსამაუწყებლო<br>ქსელით მომსახურება   |     |    |    |    |    | 1  | 1   |
| 18 | საკაბელო სატრანზიტო<br>ტელერადიოსამაუწყებლო<br>ქსელით მომსახურება  | 1   | 2  |    | 8  | 21 | 8  | 40  |
| 19 | საკაბელო<br>ტელერადიოსამაუწყებლო<br>ქსელით მომსახურება   | 6   | 7  | 8  | 10 |    | 8  | 39  |
| 20 | ტელერადიოსამაუწყებლო<br>თანამგზავრული<br>სისტემების მიწისბედა<br>სადგურებით მომსახურება                                | 2   |    | 1  | 2  | 1  |    | 6   |
| 21 | ადგილობრივი და<br>საერთაშორისო საფოსტო<br>გზავნილების მიღებით,<br>გაგზავნით, გადამიღვით<br>და დატარებით<br>მომსახურება | 6   | 4  | 1  | 5  | 6  | 4  | 26  |
| 22 | ნუმერაციის რესურსით<br>სარგებლობა  |     |    |    |    |    | 9  | 9   |
|    | სულ  | 160 | 34 | 35 | 45 | 53 | 56 | 385 |

## ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურების ბაზრის განვითარების მიმოხილვა

2005 წელს კვლავაც შენარჩუნდა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის საერთო ზრდის ტენდენცია. დარგის საერთო შემოსავლები 2004 წელთან შედარებით 20,1%-ით გაიზარდა. ზრდის მოცულობამ 119.6 მლნ. ლარი შეადგინა.

2000- 2005 წლების განმავლობაში საკომუნიკაციო მომსახურების დარგის საერთო წლიურმა შემოსავლებმა (დღგ-ს ჩათვლით) 211,5 მლნ ლარიდან 715,5 მლნ. ლარამდე, თითქმის 2.38-ჯერ იმატა, რაც ეკონომიკის ამ სექტორში მიმდინარე რეფორმების წარმატებულობის ერთ-ერთ მაჩვენებლად უნდა იქნეს მიჩნეული. <sup>1</sup>


### გრაფიკი N 1



<sup>1</sup> (2005 წლის ანგარიშის მომბადებისას საკომუნიკაციო ბაზრის მონაცემების კორექტირება და დატესტება სტატისტიკური სისტემის ამოქმედების შედეგად მოხდა, რამაც გამოიწვია მცირედი განსხვავებები 2004 წლის წლიურ ანგარიშთან შედარებით,)


## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

**გრაფიკი N 2**



შეადგინა. მაჩვენებლის კლების მიუხედვად, გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების დარგის ყოველფიური შემოსავლების ოდენობა საქართველოს ერთ მოსახლებებით 4,3 ლარიდან 15,1 ლარამდე გაიზიარდა. ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოებისაც, რომ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში საკომუნიკაციო მომსახურების ფარიფების რებალანსირებისას მათი ოდენობები პრაქტიკულად არ გამოიდა, არამედ რიგ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მათ მკვეთრ შემცირებას (მაგალითად საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურების ბაზრის სეგმენტი), და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მოთხოვნილი მოცულობა ერთ სულ მოსახლეებე გადაანგარიშებით, არანაკლებ 4-ჯერ გაიზიარდა. აქვე აღსანიშნავია, რომ თუ 2000 წელს ფიქსირებული და მობილური საკომუნიკაციო ქსელებით მომსახურების ოპერატორების ყოველთვიური შემოსავლების ჯამური ოდენობა ერთ აქტიურ მომხმარებელზე გადაანგარიშებით 25,2 ლარს შეადგინდა, იმავე მაჩვენებელმა 2005 წლისათვის 30,2%-ით იმატა და 32,8 ლარი შეადგინა თვეში, რაც საკომუნიკაციო ბაზრის საერთო

**გრაფიკი N 3**



ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის შემოსავლების წლიური ზრდის ტემპი 2000-2005 წლების პერიოდში 20,1%-დან 35,1%-მდე შეადგინდა. შემოსავლების წლიური ზრდის ტემპის მაქსიმალური მაჩვენებელი 2003 წელს 35,1%-ის თლენობით დაფიქსირდა. 2003-2005 წლების პერიოდში ამ მაჩვენებლმა იკლო და 2005 წელს 20,1%

კონიუქტურის გაუმჯობესებისა და კონკურენტული, გადამხდელუნარიანი მოთხოვნის გრძაბეჭი მიანიშნება. 2000-2005 ხუთწლიანი პერიოდის განმავლობაში საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის ტემპის კომპონენტი ინდექსმა 27.6% შეადგინა (compound annual growth rate - CAGR), შესაძლებლად, ამავე

## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

პერიოდში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის (მშპ-ს) წლიური გრძის კომპოზიტური ინდექსი 13,86% შეადგენდა.

### დარგის შემოსავლების წილი კონომიკის მთლიან შიდა პროდუქტი

გასცემი ხეთი წლის განმავლობაში ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის შემოსავლების წილი მშპ-ში ხასიათდებოდა გრძის ტენდენციით. თუ 2000 წელს აღნიშნული მაჩვენებლის ოდენობა 3,52% შეადგენდა, 2005 წელს დარგის შემოსავლების წილი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაში 1,8 ჯერ (თითქმის 2-ჯერ!) გაიზარდა და 6,21% შეადგინა.

ცხრილი 6

ელექტრონული კომუნიკაციების დარგის შემოსავლების წილი მშპ-ში


|                     | 2000    | 2001    | 2002    | 2003    | 2004    | 2005   |
|---------------------|---------|---------|---------|---------|---------|--------|
| ელექტრონული         | 211,5   | 268,5   | 339,8   | 459,1   | 595,9   | 715,5  |
| საკომუნიკაციო       |         |         |         |         |         |        |
| მომსახურების ბაზრის |         |         |         |         |         |        |
| შემოსავლები         |         |         |         |         |         |        |
| მდნ დარი            |         |         |         |         |         |        |
| მშპ მდნ დარი        | 6 015,3 | 6 647.9 | 7 456.0 | 8 563.9 | 9 422.0 | 11 513 |
| პროცენტული წილი     | 3.52%   | 4.04%   | 4.56%   | 5.36%   | 6.33%   | 6.21%  |

### ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის სეგმენტების დინამიკა

ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის ცალკეულ სეგმენტები მოქმედი ოპერატორების მიერ მიღებული შემოსავლების პროცენტული განაწილება მომსახურების სახეების მიხედვით და მათი მატების დინამიკა ნათლად ასახავს დარგის საერთო განვითარების ტენდენციებს.

2005 წელს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მთლიანი შემოსავლების 59,39% მობილურ საკომუნიკაციო მომსახურების სეგმენტები მოდის. იგივე მაჩვენებელი 2000 წელს 50,8% შეადგენდა.

გრაფიკი N 4



ხეთწლიანი პერიოდის განმავლობაში ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბაზრის სეგმენტები მოქმედი ოპერატორების შემოსავლების წილი დარგის მთლიან შემოსავლებში 42%-დან 35,2%-მდე შეცირდა, გემოაღნიშული ფაქტორები მომხარებლების მხრიდან საკომუნიკაციო მომსახურების

## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

“მობილურობისათვის” უპირატესობის მინიჭებისა და ფიქსირებული და მოძრავი საკომუნიკაციო ქსელების კონკერგიორების პროცესების ჩასახვის მანიშნებელია.

ტელერადიომაუწყებლობის ბაზრის სეგმენტზე ჩამოყალიბებული ტენდენციები ელექტრონული მედიასივრცის განვითარებაში დასახული პრიორიტეტების პრაქტიკული ანარეკლია. ტელერადიომაუწყებლობის ბაზრის “გახსნა” ლიბერალიზაციის თანმდევი პროცესია და განვლილ პერიოდში აღნიშნული სეგმენტი ჩამოყალიბდა, როგორც სარეკლამო ბაზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ეკონომიკურად მომგებიანი სექტორი. მიუხედვად იმისა, რომ 2000-2005 წლების დარგის მთლიან შემოსავლებში ტელერადიომაუწყებლობის წილი შედარებით ვიწრო დიაპაზონში მერყეობდა და საშუალოდ 4.25%-ს შეადგენდა, მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი ოპერატორების მიერ მიღებული შემოსავლების ოდენობა ამ ხუთი წლის განმავლობაში 9,89 მლნ. ლარიდან თითქმის 3,2-ჯერ გაიზარდა და 2005 წლის მონაცემებით 31,7 მლნ. ლარი შეადგინა.

### ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურება

ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის სეგმენტი მოიცავს ადგილობრივი, საქალაქთაშორისო, საერთაშორისო და მობილურ ქსელის ოპერატორების აბონენტებთან სატელეფონო კავშირით მომსახურების სახეებს, მომხმარებლების ინტერნეტის ქსელით მომსახურებას, აგრეთვე საბითუმო ბაზრის სეგმენტზე ქსელის მფლობელი ოპერატორების მიერ მსურველი პირების დაშვებას და ურთიერთხართვას ქსელის სხვადასხვა ელემენტებთან, მათ რესურსებთან ან სიმძლავრეებთან.

ცხრილი 7

### ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის სეგმენტების განაწილება 2000-2005 წლები (%)


| მომსახურების სეგმენტი        | 2000  | 2001  | 2002  | 2003  | 2004  | 2005  |
|------------------------------|-------|-------|-------|-------|-------|-------|
| ფიქსირებული<br>საკომუნიკაციო | 41.9% | 40.9% | 38.7% | 36.8% | 34.7% | 35.2% |
| მობილური საკომუნიკაციო       | 50.8% | 52.1% | 55.5% | 57.7% | 59.5% | 59.45 |
| ტელერადიომაუწყებლობა         | 4.7%  | 4.3%  | 3.7%  | 4.1%  | 4.3%  | 4.4%  |
| საფოსტო მომსახურება          | 2.6%  | 2.6%  | 2.1%  | 1.4%  | 1.4%  | 0.9%  |

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების (აქტიური სატელეფონო ხაბების) რაოდენობა 2000 დან 2005 წლამდე პერიოდში 10,2%-ით გაიზარდა და 2005 წლის მონაცემებით 544 ათასი შეადგინა. ამ სეგმენტზე მოქმედი ოპერატორების მიერ მიღებული შემოსავლების დიდი ნაწილი სს „საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიაზე“, შს „ახტელსა“ და შს „ახალ ქსელებზე“ მოდის, რომლებიც საქართველოს ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელების თითქმის 90%-ს ფლობენ. ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების სიმკვრივის მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე 2000 წელს 107 იყო 2005 წელს კი მაჩვენებელმა 122-მდე იმატა.

ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის ჯამური შემოსავლები 2000 წლიდან მოყოლებული 88,7 მლნ. ლარიდან 252 მლნ. ლარამდე გაიზარდა. სეგმენტის შემოსავლების წლიური ზრდის ფემპის კომპოზიტურმა ინდექსმა 23,2% შეადგინა. 2005 წელს აღნიშნული მომსახურების სეგმენტს საკომუნიკაციო დარგის მთლიან შემოსავლებში 35,2%-იანი წილი ეკავა.


## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

### გრაფიკი N 5



განხილულ პერიოდში ფიქსირებული საცელეფონო მომსახურების ოპერატორების წლიური შემოსავლები (საერთაშორისო კავშირით და ინტერნეტით მომსახურების შემოსავლების გარდა) 50 მლნ ლარიდან 145,3 მლნ ლარამდე გაიზარდა. ამ სეგმენტის წლიური ზრდის ტემპის კომპოზიტურმა ინდექსმა 23,8% შეადგინა.

### გრაფიკი N 6



ასევე, ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა საერთაშორისო საცელეფონო კავშირით მომსახურების ბაზრის სეგმენტშე. 2005 წელს ამ სეგმენტშე მოქმედი ოპერატორების ჯამურმა შემოსავლებმა საკომუნიკაციო დარგის მთლიანი შემოსავლების 12,2%

## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

შეადგინა, ხოლო წინა წელთან შედარებით შემოსავლების მატებამ – 15,1%. აღსანიშნავია, რომ შემოსავლების აღნიშნული მატება დაფიქსირდა საკომუნიკაციო მომსახურების ბაზის სეგმენტების ბრდის, კომისიის მიერ დადგენილი ბლვრული ტარიფების გაუქმების, ამ ტარიფების საერთო ღონის მკვეთრი შემცირებისა და საერთაშორისო გამავალი და შემომავალი ტრანზისის ჯამური მოცულობის ბრდის პირობებში. 2005 წელს 2000 წელთან შედარებით, ქვეყნის საკომუნიკაციო ქსელებიდან გამავალი საერთაშორისო ტრანზისის მოცულობა 77,8%-ით გაიზარდა და 106 მლნ. წელი შეადგინა. ქვეყანაში შემომავალი საერთაშორისო ტრანზისის მოცულობა კი, იმავე პერიოდში, გაიზარდა 3,6-ჯერ! და 284,9 მლნ. წელი შეადგინა.

ფიქსირებული საკომუნიკაციო ბაზრის სეგმენტებზე კონკურენციის განვითარების მახასიათებლების (მათ შორის ჰიუკონდალ-ჰირშმანის კონცენტრაციის ინდექსის – HHI) გააძლიერებისას ნათლად გამოიკვეთა, როგორც ცალკეულ სეგმენტებზე საბაზრო კონკურენციის ხარისხობრივი მატების ტენდენცია, ასევე ის ამოცანები, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია ამ პროცესების შემდგომი ხელშეწყობისა და ბაზრის ცალკეული სეგმენტების კონკურენცული გაფართოებისათვის.

ცხრილი 8

### HHI (ჰიუკონდალ-ჰირშმანის ინდექსი)

| ბაზრის სეგმენტი                           | 2000   | 2005   | ცვლილება |
|---|--------|--------|----------|
| სააბონენტო წყვილების იჯარა                | 4 733  | 3 909  | -17.42%  |
| ადგილობრივი სატელეფონო კავშირი            | 3 789  | 2 974  | -21.52%  |
| მაგისტრალური არხების იჯარა                | 9,567  | 9 527  | -0.41%   |
| მობილურ აბონენტებთან სატელეფონო კავშირი   | 2 101  | 3 281  | 56.18%   |
| საქალაქოაშორისო სატელეფონო კავშირი        | 2 801  | 1 396  | -50.17%  |
| საერთაშორისო სატელეფონო კავშირი           | 2 522  | 1 924  | -23.71%  |
| ინტერნეტის ქსელით მომსახურება             | 3 376  | 1 745  | -48.33%  |
| ადგილობრივი ფართობოლოვანი უსადენო დაშვება | 10 000 | 10 000 | 0.00%    |
| ურთიერთხართვა და დაშვება                  | 2 179  | 3 671  | 68.51%   |
| მობილური საკომუნიკაციო მომსახურება        | 5 670  | 5 572  | -1.74%   |


2000-დან 2005 წლამდე პერიოდში სააბონენტო ხაზების (ULL and Subscriber Line Access, წყვილების) ბაზრის სეგმენტებზე HHI ინდექსის მაჩვენებელი შემცირების ტენდენციით ხასიათდება. მაჩვენებლის შემცირებამ (კონკურენციის ბრდა) მთლიანობაში შეადგინა 17,42%. HHI ინდექსის მაჩვენებელმა ასევე იკლო ადგილობრივი სატელეფონო მომსახურების ბაზრის სეგმენტებც - 21,52%-ით. ბონათაშორის მაგისტრალური არხების იჯარის ბაზრის სეგმენტებზე HHI ინდექსის მაჩვენებელი ფაქტიურად არ შეცვლილა და ყველაზე მაღალია განხილულ სეგმენტებთან შედარებით. მსგავსი სურათი იხატება ფიქსირებული ფართობოლოვანი საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის სეგმენტებც. მომსახურების ამ სეგმენტებზე კონკურენციის ბრდის ხელშეწყობა კომისიის მომავალ საქმიანობაში სტრატეგიულად პრიორიტეტული მიმართულებაა.<sup>2</sup>

<sup>2</sup> ჰიუკონდალ-ჰირშმანის ინდექსის გაანგარიშება - ბაზრის სეგმენტების მოქმედი თპერაფორმენტის წილების კვადრატების ჯამი

## მობილური საკომუნიკაციო მომსახურება

2005 წელს მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის გრძის წინა წლებში ჩამოყალიბებული ტენდენცია კვლავაც შენარჩუნდა.

გრაფიკი N 7



2005 წლის განმავლობაში მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ოპერატორების აქტიური აბონენტების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, თითქმის 40%-ით გაიზარდა, “მილიონიან ბლვარს” გადააჭარბა და 1 მილიონ 174 ათასი შეადგინა.

ხუთწლიანი პერიოდის განმავლობაში მობილური საკომუნიკაციო მომსახურების “აქტიურ” აბონენტთა რაოდენობა თითქმის 8-ჯერ გაიზარდა. აქვე აღნიშნავთ, რომ 2003 წელს “მობილური” აბონენტების რაოდენობამ გადააჭარბა “ფიქსირებული” აბონენტების რაოდენობას, 2005 წელს აღნიშნულმა “გარღვევამ” - 115,7% შეადგინა, ანუ პრაქტიკულად მობილური საკომუნიკაციო მომსახურების აბონენტების რაოდენობამ ორჯერ! გადააჭარბა ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტთა რაოდენობას.

მობილური საკომუნიკაციო მომსახურების აქტიური აბონენტების “სიმკვრივე” 2000 წელს 3,4%-ს შეადგენდა და გასული ხეთი წლის განმავლობაში 26%-მდე გაიზარდა.

|                        | ცხრილი 9<br>მობილური ოპერატორების შემოსავლების წლიური მაგება (%) |       |       |       |       |
|------------------------|--|-------|-------|-------|-------|
|                        | 2001   | 2002  | 2003  | 2004  | 2005  |
| პროცენტული მაგება წინა | 30.4%  | 34.8% | 40.4% | 33.9% | 19.7% |
| წელთან შედარებით       |  |       |       |       |       |

2005 წელს მობილური საკომუნიკაციო მომსახურების შემოსავლებმა წინა წელთან შედარებით 19.7%-ით ანუ 70 მილიონი ლარით იმატა და 425 მლნ. ლარი შეადგინა. 2000-2005 წლების პერიოდში შემოსავლების წლიური გრძის ფემპის

## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია


კომპოზიტურმა ინდექსმა 31,7% შეადგინა. განვითარების ხუთწლიანი პერიოდის განმავლობაში მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის ბრდის ტემპი დარგში ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელით ხასიათდება. 2000 წელთან შედარებით 2005 წელს შემოსავლები 317,5 მილიონი ლარით გაიზარდა და ამჟამადაც ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის ყველაზე შემოსავლიან და ინტენსიურად მზარდ სეგმენტად რჩება.

მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ყოველთვიური შემოსავლების თავისებულება საშუალოდ ერთ “აქტიურ” აბონენტზე გადაანგარიშებით 2000 წელს 62,4 ლარს (31,7 აშშ დოლ.) შეადგენდა, ამავე მაჩვენებლმა 2005 წელს 34,9 ლარამდე (19,5 აშშ დოლ.) იკლო, რაც საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით კანონმდებლივი ფენენციაა და განხირობებულია მობილური საკომუნიკაციო ქსელების გაფართოებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის ბრდის ფონზე მთლიან სააბონენტო ბაზაში დაბალბიუჯეტიანი მომხმარებლების რაოდენობის მატებით.

### ინტერნეტის ქსელით მომსახურება

2000-2005 წლების პერიოდში ინტერნეტის ქსელით მომსახურების ბაზრის სეგმენტები მოქმედი ოპერატორების ჯამური შემოსავალები 3,7 მლნ ლარიდან 19,8 მლნ ლარამდე გაიზარდა (5,3-ჯერ!).

გრაფიკი N 8



2005 წელს შემოსავლების მატებამ, წინა წელთან შედარებით, 22,4% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარზე ინტერნეტით მომსახურება ყველაზე მზარდი სეგმენტია. 2000-2005 წლების პერიოდში შემოსავლების წლიური ბრდის ტემპის კომპოზიტურმა მაჩვენებელმა თითქმის 40% შეადგინა.

ADSL ტექნოლოგიებით ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობამ 2005 წლის ბოლოს 15,3 ათასი შეადგინა. წინა 2004 წელთან შედარებით, აღნიშნული აბონენტების რაოდენობა თითქმის 3,6-ჯერ გაიზარდა. Dial-up ტექნოლოგიით ინტერნეტის მომსახურების მიმღები მომხმარებლების რაოდენობა 2005 წელს წინა წელთან შედარებით, 40%-ით გაიზარდა და დაახლოვებით 178 ათასი შეადგინა.

2000-2005 წლებში ინტერნეტით მომსახურების ბაზრის სეგმენტები საერთო შემოსავლების მატებასთან ერთად გაიზარდა მოქმედ ტერიტორიებს შორის საბაზრო


კონკურენციის დონეც. HHI ინდექსის მნიშვნელობა აღნიშნულ პერიოდში 3 376 –დან 48,3%-ით 1 745 ერთეულამდე შემცირდა.

### საფოსტო მომსახურება

ლიბერალიზებული ბაზრის პირობებში, ოპერატორებისათვის შედარებით მიმზიდველი საერთაშორისო საფოსტო მომსახურების ბაზარის სეგმენტი იყო.

მომსახურების შიდა ბაზარზე საქმიანობას ერთი კომპანია - შპს “საქართველოს ფოსტა” აწარმოებდა, რომლის აქციების 100% სახელმწიფო საკუთრებაშია.

გრაფიკი N 9




საფოსტო დარგის შემოსავლები 2000-2005 წლებში ცვალებადი და ნაკლებად მიმდევნილი ხასიათდებოდა. საფოსტო მომსახურების სახეებიდან: წერილობითი კორესპონდენცია; საფოსტო გზაგნილი; ფულადი გზაგნილი და გადარიცხვა (პენსიების და დახმარებების ჩათვლით); ფინანსური მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების წილი მთლიან შემოსავლებში კვლავაც მაღალი იყო, თუმცა აღნიშნული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების წილის ოდენობა წლიდან-წლამდე პროპორციულად კლებულობდა ქვეყანაში საბანკო სისტემის განვითარებასთან ერთად.

## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

### ტელე-რადიო მაუწყებლობა


2005 წელს ტელერადიომაუწყებლობის სფეროში კომპანიების მიერ მიღებულმა საერთო შემოსავლებმა 31,729 მილიონ ლარამდე იმატა და

გრაფიკი N 10



საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების ბაზის მთლიანი შემოსავლების 4.43% შეადგინა.

გრაფიკი N 11



2002 წლის ჩათვლით, ეს სეგმენტი ეკონომიკური მომგებიანობის თვალსაზრისით განსაკუთრებული მიმბიდველობით არ გამოირჩეოდა, რაც იმ პერიოდში სარეკლამო ბაზრის მცირე მოცულობით და განვითარების დონით იყო განპირობებული.

ცხრილი 11

### შემოსავლების წლიური ბრძის ტემპი


| ბაზრის სეგმენტები           | 2001    | 2002    | 2003    | 2004   | 2005   | CAGR   |
|-----------------------------|---------|---------|---------|--------|--------|--------|
| ტელემაუწყებლობა             | 71.21%  | -13.20% | 138.81% | 56.82% | 30.84% | 48.75% |
| საკაბელო<br>ტელემაუწყებლობა | 2.35%   | 24.58%  | 3.86%   | 15.79% | 5.98%  | 10.20% |
| რადიომაუწყებლობა            | -33.76% | 21.73%  | 30.34%  | 13.42% | 30.90% | 9.31%  |

2003 წლიდან დაიწყო ბაზრის ამ სეგმენტის მკვეთრი გაფართოება. საერთო შემოსავლების ბრძან ძირითადად განაპირობა საეთერო ტელემაუწყებლობის სეგმენტის გაფართოებამ, რომლის წილი სამაუწყებლო სექტორის მთლიან შემოსავლებში ხუთი წლის განმავლობაში 28,2%-დან თითქმის 64%-მდე გაიზარდა. ამ პერიოდის განმავლობაში ტელემაუწყებლობის შემოსავლების წლიური ბრძის ტემპის კომპოზიტურმა ინდექსმა 48,8% შეადგინა. ანალოგიური მაჩვენებელი საკაბელო ტელემაუწყებლობის სეგმენტზე 10,2% იყო, ხოლო საეთერო რადიომაუწყებლობის სეგმენტზე - 9,3%. აღნიშნული განსხვავება განაპირობა სარეკლამო პროდუქციის განმათავსებელი სააგენტოების მიერ ელექტრონული მედიატექნოლოგიებიდან საეთერო ტელემაუწყებლობისათვის პრიორიტეტის მინიჭების ფაქტორით.

მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, კომისია, სამოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე, განსაზღვრავს ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტებს. ამ მიზნით, 2004 წლის ივლისში კომისიის დაკვეთით ბიზნეს კონსალტინგის ჯგუფის მიერ საქართველოს მასშტაბით ჩატარდა სამოგადოებრივი აზრის კვლევა, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა 2004-2006 წლებისათვის ტელერადიომაუწყებლობის ბაზრის სეგმენტის განვითარების პრიორიტეტი. კვლევის შედეგად გამოკითხული მოსახლეობის ერთმა მესამედმა გამოთქვა ქართული ფილმების ნახვის სურვილი. ასევე მაღალია გასართობი, შემეცნებითი, სპორტული, მუსიკალური და საბავშვო გადაცემების ნახვის სურვილი. გამოკითხულთა 46%-ზე მეტმა გამოთქვა სპეციალიზებული არხის არსებობის სურვილი, როგორც თბილისში, ასევე რაიონებში (სპეციალიზებული ტელემაუწყებლობის არხების უანრებს შორის, მაღალი რეიტინგით გამოირჩევა მხატვრული ფილმები - 56.1%, მუსიკალური - 43.6%, სპორტული - 39.3%, საინფორმაციო - 29.7%, იუმორისტულ-გასართობი - 25.6% გადაცემები).

კვლევისას დადგინდა, რომ რადიომაუწყებლობის მსმენელთა უმეტესობა გადაცემების მოსმენის დროს უპირატესობას ანიჭებს ქართულ ესტრადას. გამოკითხულთა 40.5% დაიტერესებას გამოხატავს ძველი ქართული ესტრადის მიმართ, თანამედროვე ქართულ ესტრადას უპირატესობას ანიჭებს - 39.8%. თანამედროვე უცხოური და რესეული ესტრადა შესაბამისად პრიორიტეტულია რესპონსიული 6.6% და 6.4% -სთვის.

ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად კონკურსის გამოცხადებისა და პროგრამირების ასპექტით კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენისას კომისია ითვალისწინებს ამ პრიორიტეტებს და ლიცენზიის მაძიებელთა მიერ წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციების მათთან შესაბამისობას.



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სსიპ "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის"-ს ხელმძღვანელობას,

ჩვენ ჩავტარეთ სსიპ "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის" ბუღალტრული ბალანსისა და თონდართული ფინანსური უწყისების აუდიტი 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. წარმოდგენილი ბალანსისა და ფინანსური უწყისების უწყარობაზე პასუხისმგებლობა კისრება სსიპ "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის" ხელმძღვანელობას. ჩვენ გვადასტურობით, რომ მიურ ჩატარებული ბალანსის აუდიტის შედეგების საფუძველზე გამოგხატოთ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების შესახებ და ბავცემ დასკრინა.

ჩეკნ ჩავატარეთ ბუღალტრული ბალანსის აუდიტი საყოველოად მიღებული აუდიტორული სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოთხოვთ ბალანსის აუდიტის იმგვარად დაგვგმასა და ჩატარებას, რომ სამშედო გარანტია გვიტნებს დასკვინისათვის, რომ ბალანსი არ შეიცავს არასწორ ცნობებს. აუდიტი მოიცავს, აგრეთვა, იმ მონაცემების შემოწმებას, რომლებიც ადასტურებენ ბალანსის ჯამურ მაჩვნებლებს, აღრიცხვის გამოყენებული პრინციპების განხილვას, ხელმძღვანელების მიერ გაკეთებული შეასხების შედეგებს და ბალანსის შესტავლას.

აუდიტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სამოგევალიბებინა ასრი შემოწმებულ ფინანსურ დოკუმენტებში მოცემული ინფორმაციისა და ფაქტების შესახებ. ჩვენს მიერ მოძიებული და შემოწმებული იქნა ცნობები, როს საფუძველზეც გავანალიზებდით, თუ რამდენად შეესაბამება ფაქტები დაღვნილ კრიტერიუმებს. აუდიტის საგანს ასევე წარმოადგენდა ფინანსურ ანგარიშში შემავალ მტკიცებებსა და აღრიცხვის პრინციპებს შორის შესაბამისობის სარისხის განსაზღვრა იმ სააღრიცხვო მონაცემებთან, რომლებც საფუძვლად უდევს ანგარიშს. მტკიცებები სამეცნიერო ოპერაციების შესახებ მიღებულია სააღრიცხვო ოპერაციებისა და საბოლოო ჯამში მიღებული შედეგების მიხედვით.

გვინდა ავლოშნორთ რამოდენიმე საკითხი, რომელიც მოითხოვებ კორექტირებას ან/და დოკუმენტურად არ ასახულა. ერთ-ერთი აუცილებელ პირობად მიგანინა უიმედო და საეჭვო დებიტორებისა და კრედიტორების აღიარება, ასევე შესაბამისი დოკუმენტების შექმნა (შედარების აქტები) დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დაზუსტების მიზნით. შედარების აქტები ლიცენზირებულ ოპერატორებთან და სხვა ვალიდებულ პირებთან შესრულებულია ადგილზე პროცესაში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, თუმცა ხშირ შემთხვევებში არ არის ასახული დოკუმენტურად, რაც ნათლად ჩანს კომისიის საბაზო ანგარიშზე მიღებული დასახუსტებელი თანხებიდან. შექმნებით ერთ საკითხზე, რომელიც დაკავშირებულია ინვენტარიზაციასთან. ბალანსის შედგენის თარიღისათვის 2005 წლის 31 დეკემბრისათვის არ იყო ცნობილი ინვენტარიზაციის შედგები, მაგრამ დასრულებულია აუდიტორული დასტენის შედგენის თარიღიმდე.

2004 წლის 31 დეკემბრით დასრულდებული წლის ფინანსური ანგარიშება აუდიტებული იყო სხვა დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ, შესაბამისად წარმოდგენილია აუდიტორული დასკრა.

მიგაბანია, რომ ბალანის აუდიტის შედეგები საიმედო საფუძველია წვენი შეხვდულებების ჩამოყალიბებისათვის, რომლის თანახმად ბალანსი შედეგენილია სამართლანად და აუდიტის სკოველთაოდ მიღებული პრინციპების შესაბამისად. წვენი აზრით, გარდა ზემოთ მოსხენიგბული საჯითხების გავლენისა წარმოდგენილი ბალანსი და ფინანსური უწყისებდი 2005 წლის 31 დეკემბრის მდგრმარეობით საქართვის სისრულით ასახავებ სხია "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია" ფინანსურ მდგრმარეობას, მის კვლევა მნიშვნელოვან ასპექტს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისად.

ՋՅԵ ԱՌՅՈՎՈՒՅԻ-ՀՐԱՄԱՆՈՒ-Ե

დირექტორი  
აუდიტორი

05 օշնօսօ 2006  
տօնութեա, կայառութեալու

/g. გაგნიძე/  
/g. ხმელიძე/



საქართველო, ქ.თბილისი, 0108  
მის. ვაკების მინისტრის მ.№12  
ოქტომბერ № 18, 20, 22, 24.  
კ 921416, კ 997544, კ FAX 998803

ლიცენზირებულია  
საქართველოს პარლამენტით არსებული  
აუდიტორული საქმიანობის საგაფოს მიერ  
ლიცენზია ქონდა უკიდურეს ა. წ. 210.

ରେବାନ୍ତରୀନ୍ଦ୍ରାଜା  
ପାଲିବାରୀ ପାଲିବାରୀ କାମାକ୍ଷଣ ପାଲିବାରୀ  
Nº 7/4-590 ଡାକ୍ତରୀନ୍ଦ୍ରାଜା